ეროვნული ბიბლიოთეკა


# თავისუფალი საქართველო

№19

14-27 სექტემბერი 1995 წ.

ფასი 1000 რუბლის შესაბამისი კუპონი

ინდექსი 66421
სარეგისტრაციო მოწმობის № 0441

WEEKLY NEWSPAPER TAVISUPALI SAKARTVELO (FREE GEORGIA)


## ● რედაქტორის სვეტი

საქართველოში დღეს თითქმის არ დარჩა ადამიანი, რომელსაც არ შეხებოდეს გადატრიალების შედეგები. თუ ვინმეს ჰგონია, რომ ეს პროცესი მისთვის სასიკეთო თუ არა, დამაქცეველი მაინც არ ყოფილა, ცდება, რადგან გავა დრო და აუცილებლად მიხვდება, რომ ბოროტება სწორედ იმისგან ითხოვს ყველაზე დიდ ხარკს, ვინც თანამონაწილეობს მასში.

ახლა უკვე ისინიც ციხეში არიან, ვინც თავის დროზე სხვას დასდევდა დასაჭერად. საინტერესოა, მიხვდებიან, ნეტავ, ოდესმე, რომ განგება მათ ვილაც ცუდის ერთგულებისთვის კი არ სჯის, უფრო ადრე ჩადენილი ღალატისთვის სთხოვს პასუხს.

ავად თუ კარგად, ისინი გაარკვევენ თავის მიმართებას ბედთან, რომელმაც მათ სხვისი ტკივილის ხარჯზე მოპოვებული ამაღლება არგუნა (როცა ისე თავბრუდამხვევი ჩანდა გამარჯვებაც და ამ გამარჯვებით დამკვიდრებული ძალაუფლებაც) და დაცემის სიმწარესაც აზიარა. ღმერთმა ქნას, მიხვდნენ, რომ არ ღირდა სხვისი სიმწრის ფასად მოპოვებული ის წუთიერი ილუზია სამყაროს ბატონ-პატრონობისა და ოდესმე, როცა დაუდგებათ ჟამი სინანულის, სწორედ ეს გამარჯვება შეინანონ და არა მისი უსიხარულო საზღაური.

მათ კი, ვისაც დევნიდნენ, ჩაგრავდნენ, ძარცვავდნენ, ავიწროებდნენ... მათ სხვა გზა აქვთ. ისინი სიმართლისთვის იდევნებოდნენ და იმიტომ არა, რომ უკლებლივ ყველა მართალი იყო, უბრალოდ იმიტომ, რომ სიმართლე ყოველთვის დაჩაგრულის მხარესაა. მით უფრო, სანამ ჯერ კიდევ გამარჯვებულია მოძალადე.

ჩვენი ცხოვრება უფრო საინტერესო აღმოჩნდა, ვიდრე ყველაზე საინტერესო პოლიტიკურ პროგნოზს შეეძლო მისი წინასწარმეტყველება. მძივივით აეწყო ერთმანეთს ყველა განსაცდელი, რაც კი ერმა შეიძლება გამოიაროს ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე: აღთქმული მიწა, ამ მიწის დაკარგვა, უდაბნოში ხეტიალი, ცრუკერპები, ცრუწინასწარმეტყველები, წაგებული დიდი ომები...

თითქმის მითოსურ დროში ვარსებობთ. საქართველო, მისტერიების ქვეყანა, არ ღალატობს თავის სტატუს-კვოს.

ჩვენი გმირებიც არქაული, არაამქვეყნიური სიდიადით აღბეჭდილები, საკვირველად თანხვდებიან ამ სტილისტიკას. ისინი არსებობენ დროების და სივრცეთა მიღმა, და ჩვენს მკაცრ საუკუნეში უკვე თავისი დაბადების უცნაურობით უარყოფენ ყველა პრაგმატულ კანონს, რომლითაც დანარჩენი მსოფლიო ცხოვრობს...

გაჭაობურებული უდაბნო ცდილობს შთანთქას ერის ენერგია. ის კი, განსაცვიფრებელი თავგანწირვის მაგალითებით მალამოცემული, აგრძელებს ხეტიალს ერთადერთი მართალი გზის ძიებაში. და აუცილებლად მიაღწევს საწადელს, რადგან ეს გზა უკვე გაკვალულია, ამდენად, უფრო იოლად სავალიც.

ყველა განსაცდელი, რაც ერს ელოდა, პირველად მისმა პრეზიდენტმა აიღო თავის თავზე: პირველი დამწვარი სახლი აფხაზეთში, პირველი ლტოლვილი ოჯახი საქართველოში, პირველი გადაბუგული და აოხრებული ბინა თბილისში, მამა-პაპათა პირველი შეგინებული საფლავი, პირველი დევნა სამშობლოს სიყვარულისთვის, პირველი ემიგრაცია, პირველი ტკივილი იმის გამო, რომ საქართველო გვნატრება,

1993 წლის 24 სექტემბერს საქართველოში დაბრუნდა დევნილობაში მყოფი პრეზიდენტი, რათა თუ ვერ გადაარჩენდა თავის ქვეყანას, შეწიროდა მას. მეოცე საუკუნის ბოლოს საქართველოში კიდევ ერთი მარტვილობა აღსრულდა.

გამარჯვებულია ერი, რომელსაც გმირი ჰყავს. სხვა დანარჩენი - ტკივილიც, მწუხარებაც, უიმედობაც - დროს გადაჰყვება არარსებული იისფერი თოვლის ნამქერივით. ის მარადიული კი, რასაც სამშობლოსთვის თავგანწირული სულისკვეთება ჰქვია, მისცემს მას ძალას აღთქმული მიწისკენ სავალ გზებზე თვალწილულმა იაროს ამაყად და თავდაუზრელად.

# "ვინც მახვილი აღიღოს, მახვილითავე შეიმუსროს!"

### საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას სიტყვა, წარმოთქმული ქალაქ ზუგდიდში 1993 წლის 24 სექტემბერს გამართულ მრავალათასიან მიტინგზე

ჩემო საყვარელო ხალხო, ჩემო ძმებო, დებო, შვილებო, თანამებრძოლებო, პირველად ჩემს ცხოვრებაში სიტყვებს ვერ ვპოულობ, სიტყვებს ვერ ვპოულობ, როგორ მოგეფეროთ, მოგესიყვარულოთ, როგორ გამოვხატო ჩემი ამჟამინდელი გრძნობა, არ ვიცი, დამუნჯებული ვარ სიხარულისგან, თქვენი დანახვისგან, საქართველოს დანახვისგან, თავი სიზმარში მგონია. ამდენი ხანია, მეგობრებო, არ შემივლია თვალი საქართველოსთვის, თქვენთვის, ვიყავი ტანჯვაში, ბრძოლაში, გაძევებული სამშობლოდან, მაგრამ ჩემი ფიქრი, ჩემი აზრი ყოველდღე თქვენთან იყო, ყოველდღე თქვენთან ვიყავი უხილავად, მეგობრებო, ერთი წუთი, ერთი წუთი არ მიფიქრია სხვა რამეზე თქვენ გარდა, ჩემი ქვეყნის გარდა, არაფერზე არ მიფიქრია, მეგობრებო!

ეს მეორე წელი მიდის, მეორე წელი სრულდება, რაც მე მომწყვიტეს საქართველოს, მაგრამ ვერ მომწყვიტეს, ხომ ხედავთ, ვერ მომწყვიტეს!

მეგობრებო! არც არის ძალა, რომელიც საქართველოს დააჩოქებს, არ არის ასეთი ძალა დედამიწის ზურგზე, ვინაიდან ქართველი ერის შეგნება არის უმაღლესი, ქართველი ერის ძალისხმევა არის უდიდესი. ვერაფერს დაგვაკლებენ, მეგობრებო, ვერაფერს! თავიანთ თავს დააკლებენ და უკვე დააკლეს, ხომ ხედავთ!

უმძიმესი ჟამი დაგვიდგა. გაპარტახებულია საქართველო, განადგურებულია საქართველო ამ ჯალალედინების, ამ თემურლენგების, ამ ჩინგისხანების მიერ. ასეთი ყოფილა ჩვენი ისტორიული ბედი: ტანჯვა, ბრძოლა, გლოვა, მაგრამ ბოლოს მაინც გამარჯვება.

მრავალჯერ ვღვარე ცრემლი, მრავალჯერ, ეხლაც მეტირება, განა არ მეტირება, როდესაც ვუყურებ აი, ამ სახეებს, განა ჩვენ ყველას არ გვეტირება ეხლა, მეგობრებო. არაერთხელ მივუსამძიმრე, ეხლაც ვუსამძიმრებ, ეხლაც მუხლს ვიყრი მათი ხსოვნის წინაშე, ისინი შეეწირნენ საქართველოს, ისინი შეეწირნენ ღვთის საქმეს, ღვთის უდიდეს საქმეს შეეწირნენ ისინი და საუკუნოდ კურთხეული იქნება მათი ხსენება.

ჰოდა, იმას გავიმეორებ, ჩვენი ისტორიული გზა მუდამ ასეთი იყო, არაფერი ახალი დღეს არ ხდება, ასე იყო საუკუნეების განმავლობაში, ვინაიდან "კარგია მუდამ მტრიანი" - ქართული ხალხური ანდაზაა, და ქართველი ერიც იმიტომ არის ესოდენ მტრიანი, "ცუდას რად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მტრიანი". ამიტომ ვართ ყოველის მხრით მტრებით და ყვავ-ყორნებით გარემოცულნი, მაგრამ ისტორიაში როგორც გავარღვიეთ ყველა რკალი, როგორც დავამარცხეთ ყველა ბარბაროსი კაციჭამია, ახლაც ისე დავამარცხებთ ამ კაციჭამიებს.

კაციჭამია ხუნტა სულს ღაფავს, თავისი არსებობის უკანასკნელ დღეებს ითვლის და დროზე მოეგოს გონს, ვინც გაწირა საკუთარი ერი, ვინც ძმას ძმა გადაჰკიდა, ვინც ძმის სისხლში გაისვარა ხელი, დროზე შეინანონ, დროზე მოინანიონ ღვთის წინაშე და თუ უფალი შეუნდობს, ჩვენც შევუნდობთ, თუ საქმით მოინანიებენ, თუ საქმით შეინანებენ, თუ დაინახავენ რა დაატრიალეს საქართველოში, რა დღეში ჩააგდეს საქართველო, თუ აეხილებათ ის დაბნელებული თვალები, - ის დაბრმავებული თვალები თუ აეხილებათ, დე დაინახონ, რომ მათ საქართველო ვერ დააჩოქეს, სამეგრელო ვერ დააჩოქეს და ვერც დააჩოქებენ.

მეგობრებო, მტერი, როდესაც უპატრონოდ დაიგულა ჩვენი მამული, ვერაგულად შემოგვესია, მას ეგონა, ამ კაციჭამიებზე გაბოროტებული ხალხი, გამწარებული ხალხი მას არ აღუდგებოდა. შემოგვესია ვერაგულად, ჟლეტს ჩვენს თანამოძმეებს არნახული ბარბაროსობით, არაადამიანობით ანცვიფრებს მთელ მსოფლიოს. ის მტერი წაქეზებულია კიდევ უფრო დიდი მტრის მიერ, მაგრამ ორივე, დამიჯერეთ, ორივე დამარცხდება, დამიჯერეთ, ორივე დამარცხდება საქართველოსთან ბრძოლაში.

ჩვენ არ დავუშვებთ ჩვენი ძმებისა და დების ჟლეტას! ჩვენ არ დავუშვებთ ჩვენი დებისა და ძმების სისხლის ღვრას! ჩვენ საკადრის პასუხს გავცემთ იმას, ვისაც ჰგონია, რომ საქართველო უპატრონოა. არ არის საქართველო უპატრონო, არ არის. ამაოდ გგონიათ, ყვავყორნებო, რომ საქართველო უპატრონოა, საქართველოს ჰყავს პატრონი, და მალე დაინახავენ ისინი იმ პატრონის ძალას!

მეგობრებო, ჩვენ არ გვინდოდა სისხლის ღვრა. ჩვენ არ გვინდოდა მოძმე ხალხის სისხლში ხელების გასვრა. აბა, გაიხსენეთ 1989 წლის 27 ივლისი, როდესაც მე აქ ვიდექი, სწორედ ამ ადგილზე, სწორედ ეს მიკროფონი მეჭირა, თქვენც აქ ბრძანდებოდით აღელვებულნი, როდესაც აფსუებმა სოხუმში ქართველების სისხლი დაღვარეს პირველად, მაშინ მე ჩამოვედი, აღელვებული ხალხი დავაწყნარე და მოგიწოდეთ სიმშვიდისკენ. მოვუწოდე მათ, რომ გონს მოგებულიყვნენ, მაგრამ ვაი, რომ არ მოქმედებს მათზე ადამიანური სიტყვა, არ მოქმედებს მათზე შეგონება. რა გაეწყობა, ჩვენ უნდა დავდგეთ ჩვენს მოძმეთა დასაცავად, მტკიცედ უნდა დავდგეთ ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად, საქართველოს დასაცავად, ქართული მიწის დასაცავად. ნურავის ჰგონია, რომ უპატრონო საქართველოს გააჟერანებს და მის მიწას მიითვისებს.

ჩვენ არაერთხელ შევთავაზეთ მოლაპარაკება, შერიგება, ეხლაც ვთავაზობთ, თუ შეგრჩენიათ გონება, თუ შეგრჩენიათ ელემენტარული კეთილი განსჯა, გონს მოეგეთ, დაანებეთ თავი ამ სამხედრო ავანტიურას საქართველოს წინააღმდეგ. ქართულ მიწას თქვენ არავინ დაგითმობთ, შეგვრიგდეთ! თუ ელემენტარული კეთილგონიერება გააჩნიათ, შეწყვიტონ ეს ომი და გამოგვიწოდონ შერიგების ხელი.

მე შევთავაზე მათ არაერთხელ, სხვათა შორის, ჩვენი მეგობრების - ჩეჩნების მეოხებითაც, მათი შუამავლობითაც, არაერთხელ - გამოვაცხადოთ ეროვნული შერიგება, დავამთავროთ ეს ძმათამკვლელი ომი, მაგრამ ის ავანტიურისტები, რომლებიც მათ სათავეში უდგანან, არ ცხრებიან, არ ცხრებიან, ვინაიდან მათ არ სურთ მშვიდობა, ჩვენ კი გვსურს, ჩვენ გვსურს ვუმკურნალოთ ჩვენს დაწყლულებულ, მრავალტანჯულ ქვეყანას. მაგრამ ნურას უკაცრავად, დიდი ვაჟასი არ იყოს:

"სამშობლოს არვის წავართმევთ,
ჩვენს ნურვინ შეგვეცილება,
თორემ ისეთ დღეს დავაყრით,
მკვდარსაც კი გაეცინება".

მეგობრებო!

ალბათ, მრავალ თქვენგანს აწუხებდა აზრი - რატომ არ ჩამოდის პრეზიდენტი.

ყველას აწუხებდა ეს, ყველას, ყველა დაფიქრებული იყო. პირდაპირ გეტყვით, ვერ ჩამოვდიოდი. ისეთი ბლოკადა მოგვიწყო ხუნტამ და მისმა მხარდამჭერმა ძალებმა, რომ ფიზიკურად ვერ გამოვაღწიე, მრავალჯერ ვცადე, მაგრამ ვერ გამოვაღწიე, და აი, ახლა უფალმა ინება, განგებამ ინება, სასწაული მოხდა და ჩამოვედი თქვენთან.



ეხლა მინდა მივმართო ჩვენს მებრძოლებს.

ძმებო, თქვენი შემართება, თქვენი თავდადება, თქვენი ვაჟკაცობა მთელ საქართველოს აოცებს, აღაფრთოვანებს, იმედს აძლევს. ამავე დროს, მე, როგორც საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი მთავარსარდალი, რომელსაც ფიცი მაქვს მიცემული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვისა, მოგიწოდებთ, მტკიცედ დავდგეთ და დავიცვათ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა, დავიცვათ ჩვენი ქართული მოსახლეობა!

ამავე დროს, გთხოვთ, - თქვენ, მართალია, საყვედური არ გეთქმით, - მაგრამ განვამტკიცოთ დისციპლინა, ვიყოთ ნამდვილი რეგულარული ჯარი, ვინაიდან თქვენ ხართ კანონიერი ჯარი, კანონიერი მხედრობა საქართველოსი და ეს განაპირობებს თქვენს ძლევამოსილებას. ის უკანონო ბანდები ამიტომაც არიან ასე დაქსაქსულნი და უძლურნი, რომ კანონიერება მათ მხარეზე არ დგას. და ჩვენ უნდა განვსხვავდებოდეთ სწორედ ამით - ორგანიზებულობით, დისციპლინირებულობით, და მე გთხოვთ, რომ დღეიდან განსაკუთრებით ამაზე გავამახვილოთ ყურადღება, ვინაიდან ეს დისციპლინა, ეს ერთიანი შემართება განაპირობებს მომავალში ჩვენს გამარჯვებებს.

დღეს ჩვენი ბიჭები იბრძვიან ოჩამჩირე-სოხუმის მიმართულებით, ჩვენი ძვირფასი ლოთი იქ არის, ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ჩვენმა ჯარმა გაიმარჯვოს და კატეგორიულად ვუცხადებ ხუნტას - რასაკვირველია, მას ესმის ეხლა ჩემი: ამჟამად, როცა საქართველოს უჭირს, მან ხელი არ უნდა შეგვიშალოს და ჩვენ უნდა მოვთხოვოთ მას, რაც ერგება საქართველოს, რაც მას უკანონოდ აქვს მიტაცებული, ყველაფერი ეს გადმოვიდეს ჩვენი კანონიერი ჯარის ხელში და მოხმარდეს საქართველოს.

წინააღმდეგ შემთხვევაში, ხუნტას შეარჩენებს საქართველო კიდევ მრავალჯერ და მომავალშიც შეარჩენებს მას, თუ ის ხელს შეგვიშლის ჩვენ, თუ ის საბოტაჟს გამოგვიცხადებს, თუ არ დაუთმობს ყოველივე იმას, რაც ჩვენს მებრძოლებს სჭირდება და თუ განაგრძობს მონოპოლიზებას ხელისუფლებისას, ეს მისთვის კატასტროფით დამთავრდება.

ამავე დროს, მოვუწოდებ მათ, დროზე გადადგნენ და ბდგილი დაუთმონ კანონიერ ხელისუფლებას.

დაბოლოს, დავამთავრებ სახარების სიბრძნით.

ქვეყანაზე სიკეთის მქადაგებელი, სათნოების მქადაგებელი ღმერთი, რომელიც მოევლინა დედამიწას და დადიოდა დედამიწაზე, იესო ქრისტე ბრძანებს:

"ვინც მახვილი აღიღოს, მახვილითავე შეიმუსროს!"

# შევარდნაძემ დაიწყო წინასაარჩევნო კამპანია

და ნიშანდობლივია, რომ დაიწყო იმელის ეზოში მომხდარი აფეთქების შემდეგ. 30 აგვისტოს რესპუბლიკის მოედანზე გამართული მიტინგი, არსებითად, ამ კამპანიის პირველი ლეგალური აქცია იყო, რომელსაც, ცხადია, წინ უძღოდა არაერთი არალეგალურიც. მაგრამ ნათელია, რომ 29 აგვისტოს აქტმა მნიშვნელოვანი კორექტივი შეიტანა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში: უპირველეს ყოვლისა, კვლავ მსოფლიო საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოაქცია უკვე გვარიანად მივიწყებული მხცოვანი პოლიტიკოსი, მნიშვნელოვნად აამაღლა პოლიტიკურ ოპონენტებზე შევარდნაძისა და მისი კლანის თავდასხმისუნარიანობა, შესაძლებლობა მისცა მას გაატაროს არა მხოლოდ ძალისმიერი ოპერატიული ღონისძიებები, არამედ საკადრო ცვლილებები რაიონულ ადმინისტრაციებში, საზოგადოების თვალში შეიქმნას ბნელი კრიმინალური ძალებისა თუ რუსეთის რეაქციული წრეებისთვის არასასურველი ლიდერის იმიჯი. ამ ფაქტორების გათვალისწინებით მუშავდება აფეთქების რამდენიმე ვერსია. ამასთან, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რომელი მათგანია სინამდვილესთან ახლოს: თითოეული ცალ-ცალკე და ურთიერთკავშირში ემსახურება პრეზიდენტობის კანდიდატის პრესტიჟის ამაღლებას.

# ახალი და ძველი ნომენკლატურა

რევოლუციის შვილები დღეს თითქმის ყველა დარტყმის ქვეშაა და არა მხოლოდ ოდიოზური "მხედრიონი". ვილაცას შავ საქმეზე დაიჭერენ, ვილაცას - თეთრზე, მერაბ ურიდიასავით; მერე ზოგიერთი შეიძლება გაუშვან კიდეც, მაგრამ მთავარია, რომ თითქმის ყველას დაჭერის საფუძველი არსებობს და, სხვათა შორის, არა ყალბი, არამედ რეალური საფუძველი. მშობელმა უკეთ იცის, რას სჩადიოდნენ მისი შვილები, მით უფრო, თუ მისი დავალებით მოქმედებდნენ.

ამდენად, იარაღით მოპოვებული სივრცე თავისუფლდება. ფორმალურად ამას დამნაშავეობასთან ბრძოლა ეწოდა, რეალურად კი არჩევნების წინა პერიოდში უკვე არასაიმედო ახალ შავებს ცვლიან ძველი წითლები. ნომენკლატურული რეკანში განსაკუთრებით შესამჩნევია პერიფერიაში, სადაც სამხედროების, სამხრეებიანი მხედრიონელებისა და რევოლუციის სხვა "გამკეთებელთა" მაგივრად, საკვანძო ადმინისტაციულ პოსტებს კვლავ რაიკომის მდივნები უბრუნდებიან. ამასთან, ისინი თითქმის ზვიადისტურ ბრალდებებს უყენებენ ერთ დროს მათ მიერ ხოტბა და იარაღშესხმულ "მხედრიონს". შევარდნაძის განსაცვიფრებლად "გულახდილი განცხადების შემდეგ - "მათ ოთხჯერ დაარბიეს სამეგრელო" - ახლად დანიშნულმა კომპარტიელებმა ექოსავით გაიმეორეს იგივე. ზუგდიდის ძველი რაიკომის მდივნისა და ახალი გამგებლის ბონდო ჯიქიას აზრით, რეგიონში ბევრი უსამართლობა ჩადენილა. "მარტო დარჩელში 28 სახლის გადაწვა რად ღირს", - აღშფოთებულია ამხანაგი ბონდო და ამომრჩევლებს ყველა დამნაშავის დასჯას ჰპირდება.

ამდენად, თავისუფალი ბაზრისა და დემოკრატიის ტალღებში განბანილმა კომპარტიელებმა ჯერ "ზვიადისტების" შეცდომები გამოასწორეს, ახლა მხედრიონელების შეცოდებათა აღმოფხვრას შეუდგნენ. მართლაც შეურაცხყოფილი ხალხის, შვილმკვდარი დედების, გაძარცული და დარბეული ადამიანების გრძნობებზე ამგვარი თამაში ერთადერთ მიზანს ისახავს - არჩევნებში ხალხის ხმების გამოტყუებას.

მეორეს მხრივ, კომპარტიელები, როგორც არავინ, ისე შეძლებენ არჩევნებისთვის ხალხის ორგანიზებასაც და, თუ საჭიროა, სასურველი შედეგის გაფორმებასაც. ისინი კარგად იცნობენ რაიონის სპეციფიკას, 70 წლის ბატონობის განმავლობაში ნელ-ნელა დაეუფლნენ ბოლშევიკური შეუწყნარებლობისა და სისასტიკის შენიღბვის ხელოვნებას და გამოიმუშავეს მასებთან კონტაქტის ახალი, ფამილარული სტილი. მათთვის დამახასიათებელ კლანურ-მაფიოზურ ალღოს, ყალბი ფასადებისა და ღონისძიებების ორგანიზების უნარს, კარიერიზმს ერთგვარ ხიბლს ანიჭებს მელანქოლიური სიმშვიდე, რომელმაც მეტი საფუძველი შეიძინა ჩვენს დროში, როდესაც კომპარტიელებმა, ბურბონების მსგავსად, ერთხელ უკვე დაკარგეს და კვლავ დაიბრუნეს ტახტი. დაბოლოს, მათ დროს კარაქი იაფი ღირდა. დღეს ეს არგუმენტიც ვილაცისთვის სარწმუნოა.

ამდენად, წინასაარჩევნო მანევრების პირველი წრე ნომენკლატურულ ფლანგზე გადის.

# ნავთობის კვალი

იმელის აფეთქების შემდეგ ბაქოს ნავთობის საქართველოზე ტრანსპორტირების საკითხის გარშემო ატეხილი ხმაური ლამის მეორე აფეთქებას ჰგავდა. მრავალი თვის განმავლობაში გაურკვევლობით შებურული პრობლემა თითქოს ერთი ხელის მოსმით გადაიჭრა: თბილისში ჩამოვიდა თურქეთის პრემიერ-მინისტრი თანსუ ჩილერი, დაახვავა დაპირებები მილიონი და მილიარდი დოლარების, საქართველო-თურქეთის სარკინიგზო მაგისტრალის შესახებ; ხოლო შევარდნაძე, რომლის პასიური პოზიციის გამო, ბაქოც და ანკარაც აქამდე გაკვირვებას გამოხატავდნენ, საგრძნობლად გააქტიურებული ჩანდა.

აფეთქებიდან ხუთიოდე დღეში, შევარდნაძის ტაშკენტში ვიზიტის შემდეგ, თითქოს დაიძრა თენგიზის ნავთობის საქართველოზე გამოტარების პრობლემაც. აფეთქებაში რუსეთის გარკვეული ძალების როლს თვით რუსეთის პოლიტოლოგები და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიც არ გამორიცხავდნენ, რომლებიც არ არიან დაინტერესებულნი ნავთობის საქართველოზე გავლით.

დამატებითი არგუმენტი ამ ვერსიას შესძინა იგორ გიორგაძის მოსკოვიდან სასწრაფო დაბრუნებამ გრაჩოვის თანაშემწის თანხლებით, რომელიც, გაურკვეველია, რა ფუნქციას ასრულებდა - მისი დაცვის, თუ გადარჩენილ შევარდნაძესთან საჭირისუფლო მისიონერის. ამის შემდეგ გიორგაძის განთავისუფლება უშიშროების შეფის პოსტიდან, ლამის რუსეთისთვის ომის გამოცხადებად უნდა აღექვა საზოგადოებას.

ამდენად, შეიქმნა იმის სრული შთაბეჭდილება, რომ ნავთობის საკითხი უკვე გადაიჭრა და სწორედ ამიტომ დასცხო რუსეთმა შევარდნაძეს, რომელიც გამოვიდა მისი კონტროლიდან. შესაძლოა, ეს მართლაც ასეა და პირველადი ნავთობის საქართველოზე გატარების გეგმები არჩევნების შემდეგ მირაჟივით არ გაიფანტება, მაგრამ ეჭვები მაინც რჩება და მათ აძლიერებს ზოგიერთი გარემოება:

- რა მოხდა მსოფლიო პოლიტიკაში ისეთი, რამაც ისე ერთბაშად გაათამამა შევარდნაძე, რომ იგი რუსეთის წინააღმდეგ მიდის? შევარდნაძე, რომლის გაურკვეველი პასუხები ნავთობთან დაკავშირებით სულ ახლახან ლამის შოკში აგდებდა თურქეთისა და აზერბაიჯანის ლიდერებს; რომელიც ვალეში შეხვედრისას დემირელს ეუბნება - ერთი მაგისტრალი საქართველოზე გავატაროთ, ერთი კი - რუსეთზეო; რომელიც დამოკიდებულია რუსეთზე - სამხედრო ძალით, ტერიტორიებით, მთელი თავისი კარიერით და... თავით. არაფერიც არ მომხდარა. საქართველო არ გამოსულა დსთ-დან, მის არსებულ ხელისუფლებას არ მოუთხოვია რუსეთის ჯარების გაყვანა, არ უმხელია სამაჩაბლოსა და აფხაზეთში რუსეთის აგრესია, ამდენად, არ არსებობს მის მიმართ დამოკიდებულების ცვლილების არანაირი საფუძველი არც რუსეთში, არც დასავლეთში.

- გაუგებარია, როგორ თავსდება ერთმანეთთან ორი ფაქტი: რუსები, ერთის მხრივ, აფეთქებენ შევარდნაძეს, მეორეს მხრივ - თითს უქნევენ აფხაზებს, მკაცრი, თითქმის არადიპლომატიური ეპითეტებით მოიხსენიებენ და ლამის ისეთ ფონს ქმნიან, თითქოს დღე-დღეზე გადაწყდება ლტოლვილთა დაბრუნების საკითხი. ისევ და ისევ, რა მოხდა ასეთი გლობალური - შევარდნაძე კინაღამ ააფეთქეს?!

არც არაფერი. უბრალოდ, ახლოვდება არჩევნები და დისკრედიტირებულ ლიდერს ლავირების ოსტატის, პროდასავლური, სამართლიანი და "უშიში, ვითარცა უხორცო" ლიდერის იმიჯი ესაჭიროება.

ხოლო თუ როგორ ლავირებს შევარდნაძე ორ სამყაროს შორის, ამაზე მეტყველებს მისი უბადლო პასუხი ჟურნალისტის კითხვაზე - ხომ არ გაალიზიანებს რუსეთს ყაზახეთის ნავთობის საქართველოზე გამოტარება?

" - იცით, მე ველაპარაკე ამის შესახებ ნაზარბაევს და მან მითხრა: ჩვენ ნავთობის ზღვაზე ვდგავართ, იმდენი გვაქვს - რუსეთზე გასატარებლადაც გვეყოფა და საქართველოზეც. ასევეა სარკინიგზო მაგისტრალის საქმე - იმდენი ტვირთები გადის რუსეთზე, ნაწილი ჩვენსკენ რომ გადმოისროლონ, არაფერი დააკლდებათ."

აი, როგორ ადვილად კეთდება მსოფლიო პოლიტიკა - მთავარია, მიაღწიო იმას, რომ შენსა და შენს მტერს შორის განსხვავება აღარ იყოს.

მ. ტ.

# მკვლელობა ქალაქის ცენტრში

10 სექტემბერს, დაახლოებით 19.00 საათზე, თბილისში, თაყაიშვილისა და ფალიაშვილის ქუჩების კუთხეში მოხდა კიდევ ერთი შემზარავი მკვლელობა. დანიშნულ შეხვედრაზე მოსულმა პიროვნებამ ავტომატური იარაღიდან დაცხრილა 17 წლის თორნიკე ბარამიძე. გასროლის ხმაზე მეგობრისკენ გაიწია იქვე მყოფმა 17 წლის ოთარ გაგუამ, რომელსაც ასევე დაუშინა ცეცხლი ამჯერად მკვლელთან ერთად მყოფმა პირმა. იქვე ჯიხურში მომუშავე გამყიდველმა ქალმა მორთო ყვირილი. მკვლელებმა მას ხელი დაავლეს, თავიანთ მანქანაში შეაგდეს და მიიმალნენ დანაშაულის ადგილიდან. ბარამიძე ადგილზე გარდაიცვალა, გაგუამ მიიღო უმძიმესი ჭრილობები მუცლის არეში და გადაყვანილ იქნა საავადმყოფოში. შესაძლებელი იქნება თუ არა მისი სიცოცხლის გადარჩენა, ამ კითხვაზე ექიმები დაბეჯითებით პასუხს ვერ იძლევიან.

როგორც შევიტყვეთ, ორივე მკვლელის ვინაობა ცნობილია მოკლულთა ახლობლებისა და მეგობრებისთვის, ხოლო რამდენი ხანი დასჭირდება ამის დასადგენად ოპერატიულ სამსახურებს, ვერავინ იტყვის.

მოხდა კიდევ ერთი შემზარავი ფაქტი, მოხდა დედაქალაქის ცენტრში, დღის სინათლეზე, მოწმეების თვალწინ; მოხდა დამნაშავეობასა და მაფიასთან გაჩაღებული ბრძოლის, სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის გამო ძალოვანი სტრუქტურების მიერ ოპერატიული ღონისძიებების გატარების ფონზე, როდესაც დედაქალაქის მაგისტრალებზე დღისით თუ ღამით პოლიციის რეიდები ახორციელებენ მანქანების შემოწმებას, ვერტმფრენები ჰაერიდან ზვერავენ ქალაქს, მიმდინარეობს იარაღის ჩამორთმევა...

როგორც ჩვენთვის ცნობილია, თავად დანაშაული მხოლოდ ფინალური ეპიზოდი აღმოჩნდა კონფლიქტისა, რომელიც უფრო ადრე დაიწყო საჯარო თავშეყრის ადგილას, ქალაქის ერთ-ერთ პრესტიჟულ კლუბ "ყაზბეგში", სადაც ასევე ყველა "სიკეთით" აღჭურვილი ახალგაზრდობა იკრიბება. ამგვარ ადგილებში პოლიციას უთუოდ ჰყავს, ან უნდა ჰყავდეს თავისი მეთვალყურე, თუნდაც ამ პრესტიჟის დასაცავად. ალბათ ამიტომაც, სისხლიანი დაპირისპირება არ მომხდარა იქ, კანონის დამცველთა სიახლოვეს, სხვაგან კი - თუგინდ თავი გიტეხია. ასეთი იყო და ასეთი რჩება ამ სისტემის ლოგიკა.

ახალგაზრდები ნადგურდებიან, ხელისუფლება მიმართავს ბუტაფორიულ ზომებს, ხოლო საზოგადოება ეგუება ამას...

# ადვოკატი მოითხოვს რატიანის გათავისუფლებას

**შოთა ვასილის ძე რატიანი, დაბადებული თბილისში, 1955 წლის 22 ივლისს, პროფესიით გეოლოგი, ჰყავს მეუღლე და 2 შვილი.**

ა.წ. 30 აგვისტოს, დილის 7 საათზე შოთა რატიანის ბინაში მივიდა რამდენიმე ფორმიანი შეიარაღებული პირი, რომლებმაც განაცხადეს, რომ ისინი პოლიციის სამმართველოსა და ვაკის რ-ნის მილიციის თანამშრომლები იყვნენ. დაპატიმრების სანქციისა და ჩხრეკის ორდერის წარდგენის გარეშე გაჩხრიკეს ბინა მოწმეთა თანდასწრებით და შოთა რატიანი "რაღაცის გასარკვევად" წაიყვანეს ქალაქის სუკ-ის სამმართველოში. ჩხრეკის ოქმში გაფორმდა, რომ ბინაში კანონსაწინააღმდეგო ნივთები არ აღმოჩნდა, თუმცა, შედგენილი დოკუმენტის ასლი, დადგენილი წესის თანახმად, ოჯახის წევრებს არ დაუტოვეს. საბუთის ასლის მოთხოვნაზე მეუღლეს განუმარტეს, რომ "ეს ჩხრეკა კი არა, დათვალიერება იყო"(?!)

იმავე დღეს სახელმწიფო უშიშროების განყოფილებაში მისულ ახლობლებს დაუმალეს დაკავებულის ადგილსამყოფელი. მხოლოდ მათი დაჟინებული მოთხოვნისა და პროტესტების შემდეგ, გვიან ღამით აცნობეს, რომ შოთა რატიანი სუკ-ის სამმართველოში იმყოფებოდა. 31 აგვისტოს პატიმარი გადაყვანილი იქნა სუკ-ის იზოლატორში. 4 სექტემბერს კი, სახაზინო დამცველის აცილების შემდეგ (რომელმაც ოჯახის წევრებს თავისი ბინის კოორდინატებიც კი არ აცნობა), მეუღლემ აიყვანა ადვოკატი მერაბ ნავროზაშვილი.

ამჟამად შოთა რატიანის წინასწარი ბრალდება საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილით კვალიფიცირდება - როგორც სამშობლოს ღალატი (მუხლი 65, ითვალისწინებს სასჯელის უმაღლეს ზომას), სახელმწიფო ხელისუფლების შესუსტების მიზნით სახელმწიფო ან საზოგადო მოღვაწის ან ხელისუფლების წარმომადგენლის ქონების დაზიანება ან განადგურება (67-ე მუხლის მე-4 ნაწილი, ითვალისწინებს სიკვდილით დასჯას), ანტისახელმწიფოებრივი ორგანიზაციის შექმნა და მის საქმიანობაში აქტიური მონაწილეობა (მუხლი 73, ითვალისწინებს 8-დან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთას).

საქმეში არსებული მასალის საფუძველზე პოლიტპატიმრის ადვოკატი მ.ნავროზაშვილი თვლის, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი შ.რატიანი უდანაშაულოა, მის მიმართ წარდგენილი ბრალდებები არ დასტურდება შესაბამისი მტკიცებულებებით და მოითხოვს მის განთავისუფლებას "დანაშაულის შემადგენლობის არარსებობის გამო".

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კანონი მოქმედებაში შევიდა კანონის დარღვევით

**1 სექტემბერს პარლამენტმა მიიღო საარჩევნო კანონი, რომელიც გამოქვეყნდა მხოლოდ 7 სექტემბერს**

ეს ფაქტი არ იქნებოდა ყურადსაღები, რომ არა თავად საარჩევნო კანონის მეორე თავის მე-15 მუხლის დებულება (პუნქტი 3), რომლის თანახმად, არჩევნებში მონაწილეობის მოსურნე პოლიტიკურ პარტიებს საარჩევნო კომისიებში განაცხადის შეტანა მოეთხოვებათ არჩევნებამდე არა უგვიანეს 50 დღით ადრე, ანუ ამ შემთხვევაში 15 სექტემბრამდე. კანონი, რომელიც ძალაში შესულად ითვლება გამოქვეყნების დღიდან, გაურკვეველი მიზეზების გამო, დაიბეჭდა გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკის" 7 სექტემბრის ნომერში, მიღებიდან თითქმის ერთი კვირის შემდეგ, როცა განსაზღვრულ ვადამდე სულ რაღაც ცხრა დღე რჩებოდა. ამდენად, ოფიციოზმა პოლიტიკურ პარტიებს ერთი კვირა მოჰპარა და, საფიქრალია, ამით გაურთულა მხარდამჭერთა ხელმოწერების შეგროვების პროცედურაც.

იმავე მუხლის პუნქტი 2-ს თანახმად, საარჩევნო ოლქების სია უნდა გამოქვეყნდეს არჩევნების დანიშვნიდან არა უგვიანეს 7 დღისა (არჩევნები დანიშნულად ითვლება კანონის მიღებისთანავე), რაც ასევე არ შესრულებულა და ამით კვლავ სირთულეები ექმნებათ არჩევნებში მონაწილე პარტიებს, რომლებსაც სულ უფრო ნაკლები დრო რჩებათ საარჩევნო ტაქტიკის დასამუშავებლად, რისთვისაც საარჩევნო ოლქების სია სრულიად აუცილებელია.

კანონის მეოთხე თავის 27-ე მუხლი საშუალებას აძლევს რიგით მოქალაქეებს, საარჩევნო უბნისა და ოლქის მაცხოვრებლებს 'არმოაგზავნონ თავიანთი წარმომადგენლები საუბნო და საოლქო კომისიებში. საუბნო კომისიაში წარსადგენად საკმარისია 10 მაცხოვრებლის ხელმოწერა, საოლქოში - 50-ის. განაცხადების ვადა ისევ და ისევ 15 სექტემბრამდეა. ასე რომ, ამომრჩევლებსაც მოჰპარეს ერთი კვირა კანონით მინიჭებული უფლების განსახორციელებლად.

აღსანიშნავია, რომ ეს უკანასკნელი დებულება ამოღებულია საქართველოს 1990 წლის საარჩევნო კანონიდან, რომელიც მაშინდელმა კომუნისტურმა უმაღლესმა საბჭომ მიიღო ეროვნული ძალების ზეწოლის შედეგად. მაგრამ 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნების დროს, კვლავ ეროვნული მოძრაობის ძალისხმევით, ამომრჩეველთა ეს უფლება სრულად განხორციელდა (ამის მოწმე იყო ყოველი ჩვენგანი) და არჩევნების ობიექტურობის გარანტი გახდა თავად ხალხი. დღევანდელ ვითარებაში კი, ნათელია, რომ ეს (და, ალბათ, არა მხოლოდ ეს) თავისთავად დადებითი დებულება მხოლოდ ქაღალდზე დარჩება.

თუ ხელისუფლებას იმდენად ეშინია ამომრჩევლისა, რომ თავად საარჩევნო კანონის დროულად გამოქვეყნებასაც უფრთხის და პირველივე ნაბიჯზე არღვევს მას, საფიქრალია, რომ არჩევნებამდე მსგავსი ხელოვნური შეფერხებები თუ სხვა ხრიკები მრავლად იქნება გამოყენებული. ასეთ შემთხვევაში, საერთოდ რა აზრი აქვს არჩევნებში მონაწილეობას და რისი იმედი აქვთ არჩევნებში მონაწილე პარტიებს - მსოფლიო დემოკრატიის, თუ განგების?!

რ. ხ.

# ვის დაბრალდება აფეთქება

**30 აგვისტოს დაკავებული კანონიერი ხელისუფლების მომხრენი კვლავ სუკ-ის საპატიმროებში არიან:**

ეს კითხვა, ერთი შეხედვით, კარგავს აზრს, ვინაიდან ოფიციალური პირები და საინფორმაციო საშუალებები, ფაქტობრივად, პირდაპირ ადანაშაულებენ 29 აგვისტოს ტერორისტულ აქტში "მხედრიონს". თბილისსა და საქართველოს ქალაქებში - გორში, კასპში, სენაკში, ზუგდიდში და სხვ. - მიმდინარეობს მხედრიონელთა მასობრივი დაკავება. სამართალდამცველი ორგანოების მუშაკები ინტერვიუებსა თუ კომენტარებში თავს ვალდებულად თვლიან აღნიშნონ, რომ დაგეგმილ შეთქმულებაში ჩართული იყო სახელისუფლებო სტრუქტურებში არსებული ძალები, თუმცა, მეტწილად არ აკონკრეტებენ, თუ რა ძალებზეა საუბარი. ამდენად, გეზის მიმცემი აღმოჩნდა აფეთქების მეორე დღესვე გამოთქმული შევარდნაძისეული შეფასება, რომ ეს აქტი "ზვიადისტების" ჩადენილი არ არის.

ნიშანდობლივია ისიც, რომ 29 აგვისტოს ღამით დაკავებული პირები, ძირითადად, კანონიერი ხელისუფების მომხრენი, მეორე დღეს გაათავისუფლეს და პოლიციის ერთ-ერთ განყოფილებაში ისიც კი დასცდათ - "მიბრძანდით, თქვენი ბედი, რომ გადაწყვეტილება შეიცვალაო."

და მიუხედავად ამისა, 30 აგვისტოს დილით დაკავებულნი კვლავ სუკ-ის საპატიმროებში არიან. პირველი კვირის განმავლობაში მათთვის ბრალდება არ წაუყენებიათ, ხოლო ოჯახის წევრებს აიმედებდნენ, - ნუ ღელავთ, მალე ყველაფერი გაირკვევა და გაათავისუფლებენო. უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელის, იგორ გიორგაძის თანამდებობიდან განთავისუფლებამ, როგორც ჩანს, დამატებითი ილუზიები დაბადა, რომ ეს კანონსაწინააღმდეგო ქმედებები პოლიტიკურ ოპონენტთა მიმართ მას დაბრალდებოდა და დაპატიმრებულებს მალე გაათავისუფლებდნენ.

და აი, ყველაფერი მართლაც გაირკვა: პატიმრებს წაუყენეს ბრალდება - 65-ე, 67-ე, 73-ე მუხლები, ანუ სამშობლოს ღალატი, ტერორიზმი, ანტისახელმწიფოებრივი შეიარაღებული ორგანიზაციის შექმნა. თუმცა, ჯერჯერობით გაურკვეველი რჩება, კონკრეტულად რა ქმედებები ედებათ ბრალად და ფიგურირებს თუ არა საქმეში 29 აგვისტოს აფეთქება.

ძიება უაღრესად გასაიდუმლოებულ ვითარებაში მიმდინარეობს, იმდენად, რომ თითქმის შეუძლებელი აღმოჩნდა აფეთქების მეორე დღეს დაკავებულთა სრული სიის დადგენაც კი. დაზუსტებით ცნობილია მხოლოდ ორის ვინაობა - ზურაბ ვარდოსანიძის (საქართველოს ჰელსინკის კავშირის წევრი, ყოფილი პოლიტპატიმარი) და შოთა რატიანის. ამათგან პირველი იმყოფება უშიშროების სამსახურის საქალაქო განყოფილების იზოლატორში ბერი თედორეს ქუჩაზე, ხოლო მეორე- ამავე უწყების ორთაჭალის იზოლატორში. ცნობილია კიდევ რამდენიმეს ვინაობა - დავით მჭედლიშვილი, ჩუბინიძე (ამჟამად გაათავისუფლეს), ლიპარტელიანი, ზაზა დვალი, გ.გელაშვილი, გ.ონიაშვილი, თ.ელაშვილი, გ.სანაძე. სხვათა შესახებ არსებითად არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება. უცნობია მათი ვინაობა, პოლიტიკური ორიენტაცია, არიან თუ არა მათ შორის სამთავრობო დაცვის წევრები, რიგითი მოქალაქეები, სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლები.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ საქმესთან დაკავშირებით, როგორც არასდროს, ფრთხილი აღმოჩნდა ოპოზიციურად განწყობილი პრესა და პატიმართა შესახებ უბრალო ინფორმაციის გამოქვეყნებისგან თავი შეიკავეს ისეთმა გაზეთებმაც კი, რომლებიც ადრე არ ერიდებოდნენ ადამიანის უფლებათა დარღვევების ფიქსირებას ამა თუ იმ ფორმით.

ყოველივე ეს გარკვეული ტენდენციის სიმპტომია და თანაც უთუოდ შემაშფოთებელი. საფიქრალია, რომ მაღალ ეშელონებში ჯერჯერობით საბოლოოდ არ გადაუწყვეტიათ, ვის დაბრალდება აფეთქება. დამამშვიდებელი არ შეიძლება იყოს არც "მხედრიონის" თავზე აღმართული მახვილი და არც შევარდნაძის განცხადება - "ზვიადისტები" არ მერჩიანო. მსგავსი პასაჟები 1992 წლის 13 ივნისს ჩიქოვანის ქუჩაზე მომხდარი ტერორისტული აქტის შემდეგაც მოიპოვებოდა იმდროინდელ პრესაში და, სხვათა შორის, იმხანად სახელმწიფო საბჭოშიც არაორაზროვნად აცხადებდნენ რიგი პოლიტიკური პარტიები, რომ იოსელიანის აფეთქებით მხოლოდ თავად იოსელიანი იყო დაინტერესებული, რათა ჩაეშალა 15 ივნისს დაგეგმილი "მხედრიონის" ყაზარმებში შესვლა.

როგორ განვითარდება მოვლენები ამჯერად - ძველი თუ ახალი სცენარით?!

მამუკა ტუხიშვილი

# ანტისაარჩევნო ტრიბუნა



**ზურაბ წულაია, სპეციალობით ფილოსოფოსი, ყოფილი პოლიტპატიმარი**

**კორესპონდენტი:** საქართველოში წინასაარჩევნო პერიოდია და ყველა, განურჩევლად იმისა, მონაწილეობს ამ არჩევნებში თუ არ ცნობს მის კანონიერებას, თავისებურად განსაზღვრავს ამ ვითარებას. თქვენი აზრით, რა ტენდენციები იკვეთება დღეს პოლიტიკურ სპექტრში?

...ხობა იარაღის ძალით, ხალხის ნების დათრგუნვა, მისი სულიერი დაძაბუნება, საქართველოს შეყვანა დსთ-ში, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, სამაჩაბლოსა და აფხაზეთის დაკარგვა - ყოველივე ეს უნდა დაბრალდეს როგორც განდევნილ კანონიერ ხელისუფლებას, ისე მასთან დაპირისპირებულ ლეგალურ ოპოზიციასაც. ამგვარად, საბოლოოდ განმტკიცდება საქართველოს დამონების როგორც იურიდიული, ისე ფაქტობრივი საფუძვლები. ამიტომაც, რეჟიმი ცდილობს მაქსიმალურად მძიმე მდგომარეობაში ჩააყენოს ეროვნული ძალები და ამით აიძულოს მასთან თანამშრომლობა.

კორ. - თქვენი დამოკიდებულება არჩევნებისადმი?

ზ. წ. - არჩევნების მომხრენი ხშირად იმოწმებენ 1990 წლის გამოცდილებას, როდესაც ეროვნულმა მოძრაობამ არჩევნების გზით მოიპოვა გამარჯვება. ჩემი აზრით, დღეს არჩევნებში მონაწილეობა დადებით შედეგს არ მოიტანს შემდეგი მიზეზების გამო: იმ პერიოდში ეროვნულ მოძრაობას ჰყავდა გამოკვეთილი ლიდერი, რომელსაც ხალხი მიჰყვებოდა და პროცესები მისთვის საიულ ძალად. ამიტომ, ისინი ყოველმხრივ შეეცდებიან გააღრმავონ წინააღმდეგობა არჩევნების მომხრე და მოწინააღმდეგე ძალებს შორის. ამის მიღწევა მარტივია: არჩევნების მომხრეები მოწინააღმდეგეებს უწოდებენ გიჟებს, გონებადაბნელებულებს, ხოლო ეს უკანასკნელნი პირველებს - მოღალატეებს. ამგვარ ვითარებაში პასუხიმგებლობა ეკისრებათ ეროვნული მოძრაობის ორივე მხარის ლიდერებს და სწორედ ისინი არიან მოვალენი ერთმანეთს შეუთანხმონ არჩევნებისა თუ ბოიკოტის სტრატეგია და ტაქტიკა.

კორ. - არსებობს თუ არა დღეს დაპირისპირებულ ძალთა გაერთიანების საფუძველი და რის გარშემო შეიძლება მოხდეს ეს გაერთიანება?

ზ. წ. - სახელმწიფოს აღმშენებლობისთვის რომ გაერთიანება აუცილებელია, ეს აქსიომაა. პირველ რიგში გაერთიანება უნდა მოხდეს თვით ეროვნულ ძალებს შიგნით - ეს არის უმთავრესი პირობა, ჯერ ხერხემალი უნდა განმტკიცდეს. ამ წლების განმავლობაში იმდენი უბედურება დაგვატყდა თავს, იმდენ რამეზე აგვეხილა თვალი... უფალმა დაგვანახა, რომ ერთმანეთს ებრძოდა

# მთავარია ხალხის ნება...

**ზურაბ წულაია:** როგორც მოგეხსენებათ, ეროვნულმა ძალებმა, მცირე გამონაკლისის გარდა, თავიდანვე ბოიკოტი გამოუცხადეს შევარდნაძის მარიონეტული ხელისუფლების მიერ დანიშნულ არჩევნებს. დღეს ეს დამოკიდებულება ნაწილობრივ შეიცვალა: გამოიკვეთა პარტიები, რომლებშიც საჭიროდ მიიჩნევენ არჩევნებში მონაწილეობას, ზოგ ორგანიზაციაში კი აზრი ორად გაიყო. არიან ისეთებიც, ვინც თვლის, რომ არჩევნებში მონაწილეობა უნდა მიიღონ განდევნილი უზენაესი საბჭოს დეპუტატებმაც და ცნობილმა პიროვნებებმა.

ამ ტენდენციის წარმოქმნას აქვს თავისი მიზეზი. ვფიქრობ, ეს მდგომარეობა შეიქმნა იმ კრიზისის შედეგად, რომელშიც აღმოჩნდა ეროვნული მოძრაობა. მუდმივი რეპრესიების გამო ვერ მოხერხდა პოლიტიკური ბრძოლის გაშლა და მმართველმა რეჟიმმა ფაქტობრივად, გარეგნული ნიშნით მაინც მოახერხა ეროვნული ძალების მოქცევა პოლიტიკურ იზოლაციაში. აკრძალულია თავყრილობები, თავისუფალი აზრისთვის დახშულია ტელევიზია, რადიო; ერთადერთ საშუალებად რჩება პრესა, რომელიც ხელოვნურად შექმნილი პირობებისა და წინააღმდეგობების გამო გამოდის მცირე ტირაჟით და, პრაქტიკულად, დედაქალაქის იქით ვერ ვრცელდება. სამწუხაროდ, თავად ეროვნულ ძალებშიც ვერ ავიცილეთ გათიშულობა.

ეს განწყობილება ავტომატურად აისახება მოსახლეობაზეც, რომლისთვისაც დღეს პირველადი გახდა ყოველდღიური პრობლემების მოგვარება. ხალხი დაბნეული ელოდება, რა გზას დაადგებიან პოლიტიკური ძალები.

ამავე დროს, ხელისუფლება მეთოდურად იჭრის საკუთარ სისხლიან ხელებს: კიტოვანი დაპატიმრებულია, სიგუა - პოლიტიკურ გვამად იქცა, თითქმის განადგურებულია "მხედრიონი", საფიქრალია, იოსელიანსაც დაიჭერენ. თუმცა დროდადრო ადგილი აქვს ტერორისტულ აქტებს, მაგრამ შევარდნაძე ვითომდა ეფექტურად ებრძვის მაფიას, ატარებს დამსჯელ ოპერაციებს. ამავე დროს, იგი ოსტატურად მანევრირებს ე.წ. საპარლამენტო ოპოზიციათან უკვე საქვეყნოდ გაჩაღებულ ვაჭრობაში, ამკვიდრებს პრეზიდენტის არსებითად მონარქიულ ინსტიტუტს და მოუმზადებელ, ნაუცბადევ კონსტიტუციას. თითქოსდა ყველაფერი გაკეთებულია ბედნიერი ცხოვრების მისაღწევად. აკლია მხოლოდ ერთი რამ, უმთავრესი - დემოკრატიული, სამართლიანი არჩევნები ხალხის ფართო მასების მონაწილეობით.

აი, მივედით მთავარ საკითხთან: ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლების დამსიკეთო აღმავალი გზით ვითარდებოდა. იმ დროის მიტინგები და აქციები სულაც არ იყო უაზრო და უმიზნო, როგორც ახლა ცდილობენ წარმოსახონ. გუმბარიძის კომუნისტურ პარლამენტს მიაღებინეს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები: აღიარებულ იქნა საქართველოს ოკუპაცია და ანექსია 1921 წელს, მიღებულ იქნა იმ დროისთვის სრულყოფილი საარჩევნო კანონი, შეიქმნა ცენტრალური საარჩევნო კომისია, რომელმაც დანიშნა არჩევნები და არა უმაღლესმა საბჭომ, პირველი მრავალპარტიული არჩევნები ჩატარდა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე და ეს იყო მართლა საყოველთაო დემოკრატიული პლებისციტი.

დღეს, ობიექტურ თუ სუბიექტურ მიზეზთა გამო, ეროვნული ძალები დაქსაქსულია, არ არსებობს ერთიანი სტრატეგია და ტაქტიკა. ამგვარ ვითარებაში გაძნელდება როგორც ბოიკოტის განხორციელება, ისე არჩევნებში თუნდაც მცირედი გამარჯვების მოპოვება. გარდა ამისა, შევარდნაძეს ხელთ უპყრია არჩევნების შედეგების გაყალბებისა და მომავალ პარლამენტშიც ოპოზიციის დეპუტატებზე ზემოქმედების ყველა ბერკეტი. რაც შეეხება საკითხის პრაქტიკულ მხარეს, მე არაფერს ვამბობ არჩევნებში მონაწილეობის ზნეობრივ ასპექტზე.

ფაქტია, რომ ჩვენ ვერ მოვახერხეთ რაიმე ზემოქმედება მოგვეხდინა შევარდნაძის პარლამენტზე, ეროვნული ძალების არც ერთ მხარეს არ ჰქონია ამის მცდელობა, თუ არ ჩავთვლით სათათბიროში გაერთიანებულ ორგანიზაციათა მწირ სურვილებს. აქედან გამომდინარეობს არჩევნებში მონაწილეთა არგუმენტები - მომავალ პარლამენტში მომხრეების გაყვანა ხანგრძლივი ბრძოლისთვის პირობების მოსამზადებლად, ანტიეროვნული გადაწყვეტილებების ბლოკირება, პარლამენტის გარე და შიდა ოპოზიციის მოქმედებების კოორდინირება და ა. შ. ყველა ეს მოტივი სერიოზული და ანგარიშგასაწევია. მაგრამ, ჩემი აზრით, მთავარია ამის გამო არ დავუშვათ ეროვნული მოძრაობის კიდევ ერთხელ გახლეჩა.

ნუ დაგვავიწყდება, რომ იურიდიულად არსებობს საქართველოს განდევნილი უზენაესი საბჭო, როგორც ხალხის ნების გამომხატველი კანონიერი ორგანო და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გარანტი, ფუნქციონირებს მისი პრეზიდიუმი.

დღევანდელი ხელისუფლება და მისი ე.წ. ოპოზიცია ყოველ ღონეს ხმარობს, რათა "ზვიადისტები" წარმოაჩინოს ფანატიკოსი და შეშლილი ძალების ბრბოდ, კანონდარღვევებით მოქმედ დესტრუქცარა ორი იდეა, არამედ - იდეა და უიდეობა; არა ორი რწმენა, არამედ - რწმენა და ურწმუნოება; არა ორი მორალი, არმედ - ზნეობა და უზნეობა. მიუხედავად ამისა, ჩვენ არაერთხელ გადავდგით ნაბიჯი ჩვენთან დაპირისპირებულ, მაგრამ ამ ხელისუფლებასთან გარკვეულ წინააღმდეგობაში მყოფი ძალებისკენ: ჯერ ეს იყო "მრგვალი მაგიდის" კონვენცია, შემდეგ მათთან კონსულტაციები ეროვნულ სათათბიროში. მათი მხრიდან კი რას ვხედავთ - თითქოს არც არსებობს კანონიერი ხელისუფლების მომხრე ამდენი პარტია, თითქოს არავის არბევენ, არ იჭერენ. ამაზე თვალს ხუჭავს ე.წ. ოპზიციის ძირითადი ნაწილი, მცირე გამონაკლისის გარდა. გარწმუნებთ, ეს პირველ რიგში მათვე მოუბრუნდებათ ბუმერანგივით.

კორ. - დღეს სულ უფრო ხშირად ისმის კითხვა - რა გზით უნდა გაგრძელდეს ეს ბრძოლა, რა ვაკეთოთ?

ზ. წ. - მთავარია, გამოიკვეთოს ერის ნება, რომ ჩვენ გვინდა თავისუფლება და მზად ვართ ვიბრძოლოთ ამისთვის. საქართველო დღეს უმძიმეს მდგომარეობაშია. მეფისნაცვალ ციციანოვის შემდეგ, შევარდნაძის მსგავსი ცბიერი მმართველი აქ რუსეთს არ ჰყოლია. ყველას კარგად ახსოვს წარსულში როგორ ნაბიჯ-ნაბიჯ მოისყიდა მან ინტელიგენციის დიდი ნაწილი ჯილდოებით, სხვადასხვა მატერიალური პრივილეგიებით. დღეს უკვე მომსწრე ვართ პარლამენტსა და მთავრობაში თითქმის საჯაროდ მიმდინარე ვაჭრობისა ყვენის კეთილდღეობის ხარჯზე. მაგრამ ყველაზე შემაშფოთებელია, რომ ჩვენც გვემუქრება ამ პროცესში ჩათრევის საშიშროება.

ამიტომ, ეროვნული მოძრაობის ლიდერები უნდა გაერთიანდნენ და აიღონ პასუხისმგებლობა პოლიტიკური ბრძოლის წარმართვაზე. განა პოლიტიკური წინააღმდეგობის საშუალებები ამოიწურა?! განა ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ, რათა თავიდან აგვეცილებინა ეს შედეგი?!

მე მესმის, რომ ხალხი მართლაც დაიღალა, მოძრაობა მოდუნდა, მაგრამ უნდა ვიპოვოთ ჩვენს თავში ძალები და ჩვენი შეუპოვრობით, პოლიტიკური ნების გამოხატვით ვაიძულოთ შევარდნაძის მარიონეტული ხელისუფლება, ოფიციალურად აღიაროს ჩვენი მოძრაობა რეალურ, ანგარიშგასაწევ პოლიტიკურ ძალად; ვაიძულოთ წავიდეს დათმობებზე, რის შემდეგაც უკვე შესაძლებელი იქნება მართლაც კანონიერი, დემოკრატიული სახალხო არჩევნების ჩატარება.

ეს რეალური გზაა და ახლო წარსულში ამის პრეცედენტები საკმარისადაა პოსტკომუნისტურ სივრცეში.

# ანტისაარჩევნო ტრიბუნა

## დავანახოთ მთელ მსოფლიოს, რომ მეფე შიშველია

**ავთანდილ დავითაია, საქართველოს ჰელსინკის კავშირის პოლიტსაბჭოს წევრი, ცხუმ-აფხაზეთის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარე.**

**კორ. - წინასაარჩევნო პერიოდში ხელისუფლებამ ინტენსიურად დაიწყო საუბარი აფხაზეთის დაბრუნების შესახებ, იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს დღეს რუსეთი დაინტერესებულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვით. ბუნებრივად იბადება კითხვა, მართლა არსებობს რეალური საფუძველი აფხაზეთის დაბრუნებისთვის, თუ ეს, უბრალოდ, წინასაარჩევნო რეკლამაა?**

ა.დ. - როგორც კი მოახლოვდა არჩევნები, ბუნებრივად დაიწყო აფხაზეთის საკითხის წამოწევაც. შევარდნაძის პარლამენტის პირველი არჩევნების წინაც აფხაზეთის კარტის გათამაშება მას დასჭირდა, რათა გაემარჯვა არჩევნებში. გახსოვთ, ალბათ, არჩევნებამდე ორი-სამი კვირით ადრე რომ შემოვიდა სოხუმში და დაიწყო საბრძოლო მოქმედება. ომის პირობებში ჩატარდა ის არჩევნები. ოთხი წლის განმავლობაში ხმა არ ამოუღიათ აფხაზეთზე. ვითომ, რაღაც მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ, სინამდვილეში კი, აფხაზეთში ყველაფერი დიდი ხნის წინ იყო გაყიდული. ახლა ისევ იწყება აფხაზეთის საკითხის ინტენსიური მუსირება. ისევ აფხაზეთი და მისი საცოდავი ლტოლვილი მოსახლეობა არის პოლიტიკური თამაშის ობიექტი. მუშაობენ იმაზე, რომ ჭორები გაავრცელონ - 15-ში ვბრუნდებით, 20-ში ვბრუნდებით და ა.შ. ატყუებენ უბედურ ხალხს.

სინამდვილეში, არავითარი გარანტია ჩვენი აფხაზეთში დაბრუნებისა არ არსებობს. რუსეთთან ხელშეკრულებას შევარდნაძე არასოდეს დაარღვევს, თავის "საერთაშორისო იმიჯს" არ გაიფუჭებს იმით, რომ აფხაზეთში საომარი მოქმედება აწარმოოს. არძინბა და რუსეთი ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ შევარდნაძეს ამ არჩევნებში გაამარჯვებინონ. ისე კი, არაოფიციალური ინფორმაციით, აფხაზეთში პირველი სადღეგრძელო ე. შევარდნაძის ისმება, შევარდნაძე რომ არა, აფხაზები თავის საუკუნოვან გეგმას ვერ განახორციელებდნენ. აქედან გამომდინარე, ჩვენ აფხაზეთის ომი უნდა განვიხილოთ რამდენიმე ასპექტში, პირველყოვლისა კი, ზნეობრივ ასპექტში. ამდენი ათასი განადგურებული, გაჩანაგებული ადამიანი, მოშლილი ეკონომიკა, ამ ფონზე ხომ უაზრობაა არჩევნების ჩატარება. მაშინ რაღაც ტერიტორია მაინც გვქონდა აფხაზეთისა დარჩენილი, კიდევ შეიძლებოდა არჩევნებზე საუბარი. დღეს აფხაზეთსა და სამაჩაბლოში არ ვრცელდება ჩვენი იურისდიქცია, ჩვენი არც ერთი ლეგიტიმური ორგანო იქ არ მოქმედებს. წარმოიდგინეთ, რას ნიშნავს დღევანდელ პირობებში "არჩევნების ჩატარება" აფხაზეთში. სატყუარა მიუგდეს აფხაზეთის ვითომდეპუტატებს, რომლებსაც ახალ "პარლამენტში" მისცეს რაღაც კვოტა, რაღაც ადგილები. ფაქტობრივად, ის დეპუტატები, რომლებიც იყვნენ არჩეულნი პარლამენტში აფხაზეთიდან, უკვე დაინიშნენ ახალ პარლამენტშიც. არ მესმის, რა ზნეობაა ეს. ჩვენ შეგვიძლია ჩავატაროთ არჩევნები, მხოლოდ მაშინ, როდესაც აფხაზეთში დაბრუნდება ლტოლვილი მოსახლეობა. რადგან საქართველოს ფაქტობრივი მთავრობა აფხაზეთს არ იბრუნებს, იგი უნდა გადამდგარიყო და ჩამოშორებოდა პოლიტიკურ არენას, არ უნდა მოეწყო ეს გაუთავებელი მასკარადები. ელცინმა ჩაატარა პრესკონფერენცია და რეკლამა გაუკეთა ე.შევარდნაძეს. საქმე ისე წარმოაჩინა, თითქოს მომხრეა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა მაშინ, როდესაც რუსეთის ჯარი არის ის უმთავრესი ფაქტორი, რომელმაც აფხაზებს ამ ომის წარმატებით წარმოების საშუალება მისცა, ის ჯარი დღესაც აფხაზების ინტერესებს იცავს.

ხელისუფლება არ არის დაინტერესებული ამ ომში გამარჯვებით, ის დიდი ხანია ამ დამარცხებას ამზადებს, ჯერ კიდევ იმ დროიდან, როცა იქ უნივერსიტეტი, ტელევიზია გაიხსნა, როცა პროაფხაზური პოლიტიკა დაუფარავი და აშკარა გახდა. მაშინ ჩაეყარა საფუძველი ამ დამარცხებას, მაშინ მომზადდა განსახორციელებლად აფხაზთა პრეტენზიები და მერე ეს, უბრალოდ, გაფორმდა ჯერ კონსტიტუციის გაუქმებით, მოგვიანებით კი წასაგებად განწირული ომის დაწყებით.

**კორ. - ბატონო ავთანდილ, რასაკვირველია, ისევე, როგორც მთლიანად საქართველოს მოსახლეობას, აფხაზეთის მოსახლეობასაც არაერთგვაროვანი დამოკიდებულება აქვს ამ არჩევნებისადმი. საინტერესოა, რა არგუმენტები ისმის იმათი მხრიდან, ვინც მხარს უჭერს ამ არჩევნებს?**

ა.დ. - ამ არგუმენტზე არავინ ფიქრობს. არ ვიცი, რა არგუმენტი შეიძლება დაუპირისპირო იმას, რომ დღეს არჩევნების ჩატარება ნიშნავს დაკარგული ტერიტორიების დაკანონებას. ის დეპუტატები, რომელნიც მოკალათებულნი არიან ამ პარლამენტში და ძალიან თბილად გრძნობენ თავს, ფიქრობენ, რომ აქვთ უფლება მოსახლეობის მოტყუებისა. ჯერ ერთი, როგორ შეიძლება აფხაზეთის მოსახლეობამ მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში, როდესაც მას საკუთარი სახლი არ გააჩნია, ლტოლვილია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ვის უნდა მისცეს მან ხმა? ადამიანებს, რომლებსაც არც კი იცნობს, რომლებისთვისაც მოტყუებით მიაცემინებენ ხმას? არგუმენტი, რომ არჩევნებში მონაწილეობა მას აფხაზეთში დააბრუნებს, ყოვლად უსუსურია. შევარდნაძე კვლავ მართავს მასკარადებს, გამოდის ტელევიზიით და აცხადებს, რომ ჩვენ იარაღასხმულნი დავბრუნდებით აფხაზეთში. ვარდიკო ნადიბაიძე აპირებს აფხაზეთის დაბრუნებას?

არავითარი არგუმენტები იმის გასამართლებლად, რომ ეს არჩევნები აფხაზეთში დაგვაბრუნებს, მე არ მეგულება.

სამწუხაროდ, საქართველოში მომრავლდნენ ისეთები, რომელთაც საერთოდ არ აწუხებთ აფხაზეთის ბედი, დაკარგული ტერიტორიების ბედი. მთავარია, რომ მათ კარგად გააძღონ საკუთარი ცოლ-შვილი საკუთარი ერის გაყიდვის ხარჯზე. უზნეობაა საკუთარი ოჯახის კვება ათასობით ოჯახის უბედურების ხარჯზე. არადა, აქ ხომ კონკრეტული ადამიანების უბედურებაზე არ არის საუბარი, აფხაზეთი საქართველოსთვის, უბრალოდ, ერთი რომელიმე კუთხე კი არ არის, არამედ საქართველოს სულიერების მისტიკური საფუძველია. აქედან შემოვიდა საქართველოში ქრისტიანობა, აქ მოღვაწეობდნენ სვიმონ კანანელი და ანდრია პირველწოდებული. საწყისი საქართველოს სულიერებისა აქედან იღებს საფუძველს. საქართველოს არსებობა აფხაზეთის გარეშე წარმოუდგენელია.

იმის ნაცვლად, რომ მთელი ერი დაირაზმოს და რეალური გზა გამოძებნოს აფხაზეთში დაბრუნებისა (ასეთი გზა კი, ალბათ, მაშინ გამოიძებნება, როდესაც ეს ხელისუფლება არ იქნება საქართველოში), ახალი არჩევნებისთვის ისევ შევარდნაძის პერსონის ირგვლივ მიმდინარეობს პოლიტიკური თამაში. შევარდნაძე კი ქართულ მოსახლეობას არასდროს არ დააბრუნებს აფხაზეთში. ეს მისი კრედოა - ის იბრძვის საკუთარი ერის წინააღმდეგ! ის ყოველმხრივ ეცდება მოსახლეობის მოტყუებას, მის ჩართვას არჩევნებში ყოვლად ცრუ დაპირებებით, რომ შუქი გექნებათ, საჭმელი გექნებათ, აფხაზეთს დავიბრუნებთ და ა.შ. სინამდვილეში ამის გამკეთებელი ეს ხალხი არ არის, ვინაიდან ოთხი წლის მანძილზე აფხაზეთის დაბრუნების ოდნავი მცდელობაც კი არ ყოფილა, გარდა უაზრო "მოლაპარაკებებისა", რომელსაც, კაცმა არ უწყის, ვინ აწარმოებს და წარმართავს.

**კორ. - დღეს, როდესაც საქართველოში კრიზისია ეროვნულ მოძრაობაში, აქტიურად დგება გაერთიანების და კონსოლიდაციის საკითხი. როგორც ჩანს, არსებობს რამდენიმე იდეა, რომელთა გარშემო შესაძლებელია ეროვნულ ძალთა გაერთიანება. თქვენის აზრით, რა არის ის უმთავრესი, რის გარშემოც შესაძლებელია გაერთიანება და ზოგადად, შესაძლებელია თუ არა ამის განხორციელება.**

ა.დ. - ძალზე სამწუხაროა ის, რომ დღეს ეროვნული მოძრაობა მართლაც კრიზისულ მდგომარეობაშია. ჩვენ, ჰელსინკის კავშირის წარმომადგენელნი, რამდენჯერმე შევეცადეთ გადაგვედგა ნაბიჯები ამ დაპირისპირების აღმოსაფხვრელად. მაგრამ, სამწუხაროდ, ნებსით თუ უნებლიეთ, ეროვნული მოძრაობის ზოგიერთი მაღალი რანგის მოღვაწე, ვინაობას შეგნებულად არ დავასახელებ, ეწევა დესტრუქციულ საქმიანობას. დრო მოვა და ჩვენ გადამჭრელ ზომებს მივიღებთ, თუ, რა თქმა უნდა, ეს ხალხი განაგრძობს მოღვაწეობას ეროვნული მოძრაობის საზიანოდ.

სამწუხაროდ, ჯერჯერობით ვერ მოხერხდა სერიოზული კონსოლიდაცია, არის აზრთა სხვადასხვაობა და ერთ გარკვეულ ნაწილს არჩევნებშიც კი სურს მონაწილეობის მიღება. ჩვენი პოზიცია კი დღესაც ურყევია - ამ არჩევნებს ვუცხადებთ სრულ ბოიკოტს. დღეს ჩვენი არჩევნებში მონაწილეობა ნიშნავს შევარდნაძის ხელისუფლების დაკანონებას, მისთვის მწვანე შუქის მიცემას.

ამით მოხდება ჭეშმარიტი ლეგიტიმაცია შევარდნაძისა. მას აწყობს მსოფლიოს დაანახვოს, რომ მთელი სპექტრი ეროვნული მოძრაობისა, - რადიკალური თუ არარადიკალური ფრთა, ქუჩის თუ საპარლამენტო - მონაწილეობს ამ არჩევნებში. მას სჭირდება სწორედ ამის დაფიქსირება. სინამდვილეში, ამ არჩევნების ნორმალურად ჩატარების არანაირი შანსი არ არსებობს. ადგილი ექნება აშკარა ფალსიფიკაციას, ვინაიდან ყველანაირი იარაღი აქვს ფაქტობრივ მთავრობას ამ ფალსიფიკაციისთვის. ეს მთავრობა გაცილებით უარესია ყოფილ კომუნისტურ ხელისუფლებაზე. დღეს ხალხს თავისი აზრის მიტინგზე გამოხატვის საშუალებაც კი არ აქვს, ვინაიდან მას ცეცხლითა და მახვილით ებრძვიან.

მინდა გავაფრთხილო ჩვენი მოძმე პარტიები, რომლებიც ამ არჩევნებში მონაწილეობის მიღებას აპირებენ, რომ ისინი ძალიან ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან. როგორც აღვნიშნე, ჩვენი პოზიცია არის აბსოლუტურად ურყევი: ჩვენ ვზრუნავდით, ვზრუნავთ და მომავალშიც ვიზრუნებთ საქართველოს სულიერი მისიის აღსრულებისთვის. ვერავითარი ძალა ამ გზას ვერ ჩამოგვაშორებს. ერთადერთი საშუალებაა, ჩვენი ფიზიკური განადგურება. ამასთან, ფიზიკური განადგურება როდი ნიშნავს სულიერ განადგურებას, იდეის მოსპობას. ყველა მშვიდობიან ხერხს მივმართავთ, რომ ეს მთავრობა ამოიშანთოს საქართველოს მიწა-წყლიდან. ჩვენ ასე ვიმოქმედებთ მანამდე, სანამ მშვიდობიანი პოლიტიკური დაპირისპირებით არ მივაღწევთ შევარდნაძის პოლიტიკურ გვამად გადაქცევას. ჩვენ ვიქნებით ამ რეჟიმის მუდმივი მოწინააღმდეგენი. არავითარ კომპრომისზე ლაპარაკი არ შეიძლება იმ ძალასთან, რომელმაც, ფაქტობრივად, საქართველო დაღუპა.

**კორ. - რა პოლიტიკურ პერსპექტივას ხედავთ დღევანდელ პირობებში და არსებობს თუ არა, უახლოეს მოვლენათა პოლიტიკური პროგნოზირების საშუალება?**

ა.დ. - საერთოდ, როდესაც საქართველოს მომავალზე ვსაუბრობთ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს არის დროსა და სივრცეში გავრცობილი ცნება. გადარჩენა არ ხდება არც ერთ და არც ორ დღეში. საერთოდ, ერს ჰყავს ისეთი მთავრობა, როგორსაც ის იმსახურებს. ამიტომ, ჩვენ უნდა შევეცადოთ, რაც შეიძლება გავაუმჯობესოთ ერის სულიერი მდგომარეობა. ფაქტობრივად, დღეს ერის ცნობიერება დაყვანილია მატერიალური პრობლემების გადაჭრამდე. აი, რა გააკეთა ე.შევარდნაძემ. მისი ერთ-ერთი უმთავრესი დანაშაულია ქართველი ერის სულიერი და ზნეობრივი მოსპობისთვის მიზანდასახული მოღვაწეობა, ქართული მენტალიტეტის განადგურება.

დააკვირდით, რამდენი სექტა დამკვიდრდა საქართველოში, აბსოლუტურად უცხო ქართული ეროვნული ცნობიერებისთვის. ეს პროცესი გრძელდება. გრძელდება ე.წ. "ამერიკანიზაცია", ყოველგვარი სულიერების, ზნეობრიობისა და ეროვნული მეობის დაშრეტა ქართველ ერში. რატომ ებრძოდნენ ბ-ნ ზვიად გამსახურდიას და მის მოძრაობას. ებრძოდნენ იმიტომ, რომ იგი აპირებდა ჯანსაღ, ძლიერ, მყარ საფუძველზე საქართველოს მომავლის შენებას, ჩვენს სამშობლოში მართლმადიდებლობის აღორძინებას, ქვეყნის დაბრუნებას მისთვის ბუნებრივ და ჰარმონიულ მდგომარეობაში, როცა განმაპირობებელია ზნეობა, სულიერება, სიყვარული.

ვფიქრობ, რომ, ხსნა იგივეშია - ეს არის ერის სულიერი განწმენდა. ეროვნული მოძრაობის უმთავრესი დანიშნულებაა ქართველ ერში სულიერების აღორძინება, იმ სულიერებისა, რომელსაც გარეშე მომხდურნი საუკუნეთა მანძილზე ებრძოდნენ. როგორც კი ჩვენ შევძლებთ ერთმანეთის შეყვარებას ("გიყვარდეს მოყვასი შენი"), ერთმანეთთან ნორმალური ურთიერთობის აღდგენას, როგორც კი ქართველი შეწყვეტს საკუთარი ერის, საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლას, გაჩნდება რეალური გზა ერის ხსნისა.

ჩვენ ყოველგვარი გაჭირვება და განსაცდელი გამოვიარეთ: შიმშილიც, ბეჩავი მდგომარეობაც, დამცირებაც, სირცხვილიც. ერთადერთი გამოსავალია: დავდგეთ ერთმანეთის გვერდით, ხელი გავუწოდოთ ერთმანეთს, გამოვნახოთ საერთო ენა, გადავდგათ ნაბიჯი ერთმანეთისკენ. რამდენადაც მძიმე მოსასმენი არ უნდა იყოს ზოგიერთისთვის, ვისაც პათოლოგიური ზიზღი აქვს საკუთარი ერის და მოყვასის მიმართ, მათებური გზით საქართველოს გადარჩენა არ არსებობს. რა გადარჩენაზე [illegible] მაშინ, როდესაც ერს ჰყავს მათხოვრები, მონები, ლტოლვილი და გაუბედურებული ხალხი, როდესაც კეთილდღეობა გარანტირებული აქვს ერის მარტოოდენ 2-3%-ს. გადარჩენა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც ყველა ხელიხელჩაკიდებული ფიქრობს კრიზისის დაძლევაზე.

ჩვენ შეხვედრები გვქონდა უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა იმ ნაწილთან, რომელიც არაფერში გასვრილა. ყველამ გამოხატა ერთი აზრი: ჩვენი ხსნა არის საქართველოს სულიერი მისიის აღსრულების დაწყებაში. ეს არის ურთულესი გზა, რომელსაც რამდენიმე დიდი პოლიტიკური მოღვაწე შეეწირა, ეს ის გზაა, რომელიც ზვიად გამსახურდიამ დაუსახა ქართველ ერს. ჩვენ ამ გზით უნდა ვიაროთ.

რაც შეეხება პოლიტიკურ პროგნოზებს, მე ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. შევარდნაძე მთლიანად რუსეთზეა დამოკიდებული. მისი ბედი დამოკიდებულია იმაზე, თუ რუსეთის მომავალი საპარლამენტო არჩევნების შედეგად ვინ მოვა სათავეში, თუ როგორი იქნება იქ ძალთა თანაფარდობა. აშკარაა ისიც, რომ მალე ფიქციად იქცევა ე.წ. "დსთ". სულ მალე ჩვენ გავხდებით მოწმენი საკმაოდ საინტერესო ძვრებისა. არ არის გამორიცხული, რომ ახლო მომავალში ბ-ნ შევარდნაძისთვის მშობლიურ მამათშიც კი არ დარჩეს ადგილი მის განსასვენებლად...

**კორ. - თქვენი პოლიტიკური ორგანიზაცია - საქართველოს ჰელსინკის კავშირი-აქტიური ბოიკოტის მომხრეა. აქედან გამომდინარე, რა რჩევას მისცემდით ქართველ ამომრჩეველს?**

ა.დ. - მსოფლიომ და საკუთრივ საქართველომ უნდა დაინახოს, რომ არავითარი მხარდაჭერა დღევანდელ რეჟიმს საქართველოში არ გააჩნია. ამისთვის ჩვენ უნდა განვახორციელოთ ბოიკოტი. არსებობს აქტიური და პასიური ფორმები ბოიკოტისა. აქტიური ბოიკოტის დროს ამომრჩეველი არ მიდის საარჩევნო უბანში. ამასთან, ყოველი ჩვენგანი თავის მეზობელს, ახლობელს, თანამოაზრეს სათანადო ახსნა-განმარტებით მოუწოდებს აქტიური ბოიკოტისკენ. საარჩევნო უბანში არგამოცხადებით უნდა დავაფიქსიროთ ჩვენი ნება. ედუარდ შევარდნაძე ყველას თვალში, მსოფლიოს თვალში უნდა ვაქციოთ "შიშველ მეფედ", თუმც იგი კარგა ხანია შიშველია. შევარდნაძე გამოცდაა, ერთგვარი გოლგოთაა ქართველი ერისთვის. დააკვირდით ერთ კანონზომიერებას: ვისი ხელითაც გაკეთდა ბინძური საქმე დეკემბერ-იანვრის პუტჩიდან დღემდე, ყველას იცილებს - ან იზოლაციაში აქცევს, ან ფიზიკურად ანადგურებს. მიდის უბინძურესი პოლიტიკური თამაში. შევარდნაძეს სურს გამოჩნდეს სუფთა, ცდილობს არავინ დატოვოს ისეთი, ვინც წამოაძახებს, რომ იგი მან მოიყვანა ხელისუფლების სათავეში. მან ისიც კარგად იცის, თუ რაოდენ ბნელმა, შავმა ძალამ ჩამოაბრძანა იგი საქართველოში, ძალამ, რომელსაც დღეს თვითონ ანადგურებს. ჩვენ ვაფრთხილებდით შევარდნაძის მეხოტბეებს, რომ ის საბოლოოდ ასე მოიქცეოდა. არ გვათხოვეს მაშინ ყური. ახლა მაინც დაგვიჯერონ, გავერთიანდეთ ამ ბნელი ძალის წინააღმდეგ, ავღიჭურვოთ მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობით და ნუ მივიღებთ მონაწილეობას თამაშში, რომელიც საბოლოოდ დააკანონებს ხუნტის დანაშაულებრივი მმართველობის დამღუპველ შედეგებს ჩვენს ქვეყანაში, ნუ შევქმნით ენთუზიაზმს არჩევნების გარშემო, რომელიც ჩვენს საერთო მომავალს გამოუთხრის ძირს.

**კორ. - დიდი მადლობა.**

ა.დ. - მეც მადლობას მოგახსენებთ, ერთადერთს დავძენ - საქართველო აუცილებლად გაბრწყინდება. ვერაფერი შეაფერხებს ჩვენი ქვეყნის სულიერი მისიის აღსრულების გარდუვალობას და ტყუილად ნურავინ გაირთობს თავს ილუზიით, რომ მოახერხებს საქართველოს დაჩოქებას. ეს არ მოხდება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ანტისაარჩევნო ტრიბუნა



# ეროვნული მოძრაობა თუ მოძრაობა ხელისუფლებისკენ

**ვახტანგ კეკელია, საქართველოს ჰელსინკის კავშირის გამგეობის წევრი, დევნილი აფხაზეთიდან, პროფესიით ინჟინერ-ენერგეტიკოსი, 45 წლის, ჰყავს ოთხი შვილი, მეუღლე ტრაგიკულად დაეღუპა**

კორესპონდენტი: დღეს საკმაოდ ხშირად გაისმის მოწოდება სხვადასხვა დაპირისპირებული პოლიტიკური ძალების გაერთიანებისკენ. მიგაჩნიათ თუ არა, რომ დღეს საქართველოში არსებობს ეროვნული ერთიანობის საფუძველი და, საერთოდ, რის საფუძველზე შეიძლება მოხდეს გაერთიანება? ვინ მიგაჩნიათ თქვენს პოლიტიკურ მოკავშირედ?

ვახტანგ კეკელია: განა შეიძლება რაიმე იყოს გაერთიანების უფრო მტკიცე ქვაკუთხედი, ვიდრე თავად ცნება ეროვნული, ვისაც იგი მისი თავისთავადი შინაარსით ესმის. მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგიერთებს დღეს გაიგივებული აქვთ ეროვნული მოძრაობა და ხელისუფლებისთვის ბრძოლა.

ეროვნული მოძრაობის ერთი ნაწილი დღეს პასიურ მოლოდინშია და უცდის მომენტს, როდესაც ხალხი მოსთხოვს მას წინამძღოლობას; მეორენი გაფაციცებით ეძიებენ გზებს, თუ როგორ მოექცნენ ხალხს სათავეში და ზემოდან მართონ; ნაწილი კი ცდილობს თანამიმდევრულად აღადგინოს ხალხში დიდი ილიას სამი მცნება - ენა, მამული, სარწმუნოება, - ხელი შეუწყოს ერს გაითავისოს ეს მოწოდება, რათა ერთად შეუდგნენ გოლგოთას, რისი მაგალითიც გვიჩვენეს ეროვნულმა გმირებმა - სულმნათმა მერაბ კოსტავამ და საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ.

დღეს საქართველოში მომავალი არჩევნების გამო ისეთი ციებ-ცხელებაა, რომ ძნელია თქვა, რომელი პოლიტიკური ორგანიზაცია შეიძლება გახდეს ჩვენი მოკავშირე. ვფიქრობ, უახლოეს მომავალში საბოლოოდ მოხდება ძალთა გაერთიანება ორი პრინციპით: ეროვნული მოძრაობა და მოძრაობა ხელისუფლებისკენ, და ჩვენი მოკავშირენი, რა თქმა უნდა, იქნებიან პირველნი.

კორ. - წინასაარჩევნო კამპანია, ფაქტობრივად, დაწყებულია: თქვენი დამოკიდებულება არჩევნებისადმი?

ვ. კ. - ჩემის აზრით, როცა არჩევნებს ატარებს ის პარლამენტი, რომლის მესვეურებმაც იარაღით ხელში დაამხეს ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლება და ამით შელახეს მისი ნება, მასში მონაწილეობა ყოველგვარი პირობების გარეშე, რბილად რომ ვთქვათ, უზნეობაა.

ბუნებრივად ისმის კითხვა: პარლამენტი, რომელიც ხელისუფლებაში მოვიდა გაყალბებული არჩევნებით მაშინ, როდესაც არ არსებობდა არავითარი საარჩევნო კვოტა, დღეს რომ ატარებს არჩევნებს დადგენილი კვოტის საფუძველზე - 50%+1, არის თუ არა ეს გარანტია იმისა, რომ ადგილი არ ექნება გაყალბებას? თუ ხალხი მივა არჩევნებზე, განა ეს გარანტიაა იმისა, რომ მისი ნება ობიექტურად დაფიქსირდება საარჩევნო კომისიების მიერ?

დღევანდელ ხელისუფლებაში მყოფთათვის არჩევნებში დამარცხება პიროვნულ დაღუპვას ნიშნავს და, რა თქმა უნდა, მთელი ძალისხმევით, ყველა ხერხებით ეცდებიან არჩევნებში გამარჯვებას. ეროვნულ ძალებს კი არჩევნების კონტროლის არავითარი მექანიზმი არ გააჩნიათ. ასეთ სიტუაციაში მოუწოდო ერს მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში და დაარწმუნო, რომ პარლამენტში გავლენ ჩვენთვის სასურველი კანდიდატები, უბრალოდ, ილუზიაა და სხვა არაფერი. თუმცა, ხელისუფლებას დაპირისპირებული ძალები თავად ხელისუფლების დახმარებით მიიღებენ გარკვეული რაოდენობის ადგილებს, რათა მომავალი პარლამენტი მოიცავდეს საქართველოს პოლიტიკური ძალების მთელ სპექტრს. მაგრამ ეს ისევ და ისევ მოხდება არჩევნების გაყალბების გზით და მაშინ ამ ძალებს ექნებათ კი მორალური უფლება მოუწოდონ ერს სამართლიანობისა და კანონიერებისკენ?! ისიც საკითხავია, შეძლებენ კი პარლამენტში მიუღებელი გადაწყვეტილებების ბლოკირებას.

თუკი ეს ძალები ფიქრობენ, რომ არ მოხდება ხალხის ნების ფალსიფიცირება, მაშინ არჩევნების დღეს პარალელურად დაიდგას საბოიკოტო ყუთები და სრულად გამოიხატოს ხალხის ნება. თუ არჩევნების ბოიკოტს მხარს დაუჭერს მოსახლეობის უმრავლესობა და ხელისუფლებაც ოფიციალურად დააფიქსირებს ყოველივეს, შემდეგ შეიძლება კომპრომისებზე ლაპარაკი.

კორ. - რა შეფასებას აძლევთ ახლახან მიღებულ კონსტიტუციას? მიგაჩნიათ თუ არა, რომ მისი მიღება გახდება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის განმტკიცების სამართლებრივი საფუძველი?

ვ. კ. - ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას აღადგენს არა კონსტიტუცია, არამედ ხელისუფლება, რომელიც მართავს მას. არც დღემდე მოქმედი 1921 წლის კონსტიტუცია (თუმცა, მისი რომელი მუხლი იყო ქმედებაში?) ითვალისწინებდა ტერიტორიების დაკარგვას.

ეს კონსტიტუცია კი, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნისა, დაფუძნებულია "პროვინციული ფაშიზმის" პერიოდის ორ მნიშვნელოვან დოკუმენტზე - 1991 წლის 31 მარტს ჩატარებული რეფერენდუმის შედეგებსა და 1991 წლის 9 აპრილს "ფაშისტური" ხელისუფლების მიერ მიღებულ დამოუკიდებლობის აქტზე. "დემოკრატიის ფუძემდებლები" ვერ გრძნობენ, რომ თუ ამ აქტებს იყენებენ, მაშინ უნდა აღიარონ კიდეც იმდროინდელი ხელისუფლების არა ფაშისტური, არამედ სამართლიანი კანონიერება და მისი პუტჩის გზით დამხობის უკანონობა.

პარლამენტმა ვითომდაც არ მიიღო საქართველოს ფედერალურ-სამხარეო დაყოფის პრინციპი და მისი მიღება გადაბარდა მომავალ პარლამენტს. მიმაჩნია, რომ ეს გაკეთდა იმისთვის, ეროვნული ძალები რომ დაითანხმონ არჩევნებში მონაწილეობაზე იმ მოტივით, თითქოს ახალ პარლამენტში შესაძლებელი გახდება ამ გადაწყვეტილების ბლოკირება - მოდით, თორემ საქართველოს დაშლა ემუქრებაო. მაგრამ ეს სატყუარაა. საუბედუროდ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ეროვნულ ძალებს არც ერთი საკითხის ბლოკირების საშუალება არ ექნებათ.

კორ. - როგორ გესახებათ აფხაზეთის პრობლემის მოგვარება?

ვ. კ. - პირველ რიგში უნდა გამოიკვლიოთ ომის დაწყების მიზეზი. რატომ ხდებოდა, რომ ომის დაწყებამდე აფხაზეთის მაშინდელი ხელისუფლებისგან თბილისი მოითხოვდა აფხაზეთის ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებას ისევე, როგორც ეს იყო მთელ საქართველოში. მაშინ ყველამ კარგად იცოდა, რომ იქ იარაღი მხოლოდ აფხაზებს ჰქონდათ და ამიტომ, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება ნიშნავდა, რომ ღამის 11 საათიდან დილის 6 საათამდე აფხაზეთს განაგებდა მისი მოსახლეობის მხოლოდ 17%.

ბოლოს და ბოლოს, ვინ დაიწყო ომი? რატომ დღემდე ოფიციალურად არ არის განცხადებული ვის ვეომებოდით სინამდვილეში? რატომ არ არის გაგრის დაცემასთან დაკავშირებით შექმნილი საპარლამენტო კომისიის დასკვნა (მაშინ მაინც ხომ არ იყო ქობალიას რაზმი სამეგრელოში)? რა მოგება მოგვცა ოჩამჩირის მიმდებარე სოფლებისა და ტყვარჩელის არაღებამ? რატომ არ არის დამთავრებული აფხაზეთის ომთან დაკავშირებით აღძრული საქმის ძიება?

აფხაზეთის დასაბრუნებლად აუცილებელია მისი დაკარგვის მიზეზების სრული და ობიექტური ანალიზი და ამის შემდეგ გზაც გამოჩნდება. ისე კი, აფხაზეთის დაბრუნებამდე უნდა მოხდეს სამაჩაბლოს მოქცევა საქართველოს იურისდიქციაში, ეს გააადვილებს აფხაზეთის საკითხის უმტკივნეულოდ გადაწყვეტას.

კორ. - რა ვითარება და განწყობილებაა აფხაზეთიდან ლტოლვილთა შორის? შექმნილი მდგომარეობიდან რა გამოსავალს ხედავენ?

ვ. კ. - ლტოლვილთა მდგომარეობა განსაკუთრებით მძიმე და უკიდურესია: მძიმე - ეკონომიკურად, უკიდურესი - მორალურად. სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, იხილეთ მხოლოდ სტუდენტი-ახალგაზრდობის, ჩვენი მომავლის მდგომარეობა: უკვე მესამე სასწავლო წელია, რაც თსუ-ს სოხუმის ფილიალი დედაქალაქშია, ხოლო მისი სტუდენტები მიმოფანტულები არიან თბილისის სხვადასხვა სკოლებში. არაფერს ვამბობ იმაზე, თუ რამდენად ართულებს ეს სასწავლო პროცესს, მაგრამ ხომ უნდა ვიფიქროთ ახალგაზრდების ურთიერთდაახლოებაზე, მათი ერთობივი სულისკვეთების ჩამოყალიბებაზე, იმ აუცილებელ სითბოზე, რომელიც მათ უნდა გაჰყვეთ დედასამშობლოდან იმ კუთხეში, რომელსაც აფხაზეთი ჰქვია. ნუთუ თბილისში არ მოიძებნა არც ერთი სასწავლებელი, დაწესებულება, რომელიც მათ ერთად შეკრებდა, ერთ ჭერს მიუჩენდა, საშუალებას მისცემდა ემსჯელათ საერთო სატკივარზე, ეძიათ გამოსავალი, თავიანთი მიწის დაბრუნების გზები. ეს ხომ იქ დაბრუნებულებს გაუადვილებდა იმ პრობლემების გადაჭრას, რომელიც წარმოექმნებათ.

თვეები ისე გადის, რომ ლტოლვილები არსაიდან იღებენ დახმარებას, იმ მათხოვრულ 3 მილიონ კუპონსაც კი ოთხი თვის დაგვიანებით აძლევენ. არსებული ხელისუფლებისგან დახმარება საერთოდ არ მიგვიღია, ხოლო სხვა ქვეყნებიდან გამოგზავნილი ჰუმანიტარული დახმარების გაცემას ხშირად ხელსაც უშლიან. საქართველოში ლტოლვილები ძირითადად დასაქმებულნი არიან დამხმარე მუშებად, დაქირავებულ შრომას ეწევიან.

ამ და სხვა სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო, რაც დრო გადის, სულ უფრო ხშირად გაიგონებთ: "ოღონდ ჩემს სახლში დამაბრუნა და ენგურს გადმოღმა, თუ გინდა, ქვას უთოვიაო." აი, რა ზომამდე მიიყვანეს, როგორ დასაჯეს ქართველობისთვის თავდადებული ხალხი. სწორედ ამ თავდადებისთვის გაუსწორდნენ.

რა თქმა უნდა, უმრავლესობის დამოკიდებულება ხელისუფლებისადმი უარყოფითია, არჩევნების მიმართ კი - ინერტული. ამდენი მოტყუების შემდეგ, ადამიანებს ძირითად საზრუნავად თავიანთი თავისა და შვილების გადარჩენა გახდომიათ. მათ მდგომარეობაში კი განა სხვას რას უნდა ველოდოთ.

---

**რადიო "თავისუფლება, რუსული რედაქცია, 7-8 სექტემბერი, პროგრამა "პერეპრავა"**

# საქართველოს წყლებში დათარეშობენ რუსეთის წითელდროშიანი სამხედრო გემები

პროგრამის წამყვანი თენგიზ გუდავა: როცა საქართველოში დანიშნულ არჩევნებზე ვსაუბრობთ, უთუოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ერთი პოლიტიკური ძალა აშკარად გამიჯნულია მისგან. ყოფილი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას მომხრეები, ანუ, როგორც მათ ხშირად უწოდებენ, ზვიადისტები, ერთგული მიმდევარნი თავიანთი გარდაცვლილი ლიდერის იდეისა, აპირებდნენ ბოიკოტი გამოეცხადებინათ არჩევნებისთვის. მაგრამ მოხდა ისე, რომ ედუარდ შევარდნაძეზე თავდასხმის შემდეგ ისინი რეპრესიების საშიშროების წინაშე აღმოჩნდნენ და უკვე იძულებულნი არიან იფიქრონ არა იმდენად პოლიტიკურ მოქმედებაზე, რამდენადაც თავიანთი ელემენტარული უფლებების დაცვაზე.

გასულ კვირას ედუარდ შევარდნაძეზე თავდასხმის შემდეგ, საქართველო უფართოესი დიაპაზონის მქონე დაპატიმრებების ტალღამ მოიცვა. აქ არიან ზვიადისტებიც და ძირითადად - "მხედრიონის" გასამხედროებული ფორმირებები, აგრეთვე უშიშროების სამსახური. დაპატიმრებები განხორციელდა საქართველოს დედაქალაქ თბილისში და დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს პროვინციებში. დაპატიმრებულნი არიან იმ ორგანოების ხელმძღვანელები და რიგითი წევრები, მძლოლების ჩათვლით, რომელთაც არ წყალობს არსებული ხელისუფლება. უთვალავი რაოდენობის ჩხრეკების შედეგად მოხდა მთელი რიგი იარაღის არსენალის კონფისკაცია - ყუმბარსატყორცნების, ღამის თავდასხმებისთვის საჭირო ხელსაწყოების, ასაფეთქებელი მოწყობილობების დისტანციური მართვის პულტების ჩეთვლით. თბილისის სატელევიზიო ანძიდან მოიხსნა და მოხდა დემონტირება, როგორც გაირკვა, უკანონოდ დაყენებული რეტრანსლატორებისა, რომელთა მეშვეობითაც, შევარდნაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, შესაძლებელია რაზმების გამოძახება რაიონებიდან დედაქალაქში. ამრიგად, სახეზეა ათობით დაპატიმრებული, იარაღის მთები, ეჭვების ოკეანეები და არც ერთი ფაქტი, რომელიც პირდაპირ შეხებაშია მთავარ საქმესთან: ედუარდ შევარდნაძეზე თავდასხმასთან. დაპატიმრებულებს ბრალი ედებათ ძარცვაში, იარაღის არჩაბარებაში და მის უკანონოდ შენახვაში - რაშიც გნებავთ, ოღონდ არა სახემწიფოს მეთაურზე თავდასხმაში. რა უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, მიდის ანგარიშსწორება ძველი საქმეების გამო. ახალი და მთავარი მიზეზი, ანუ ბრალდება ანგარიშსწორებისა, რომლის გამოცაა ატეხილი ეს აყალ-მაყალი, ჯერ არავისთვის წაუყენებიათ.

მოსკოვის სამართალდამცავი ორგანიზაცია "ანტიფაშისტური ახალგაზრდული ქმედება" თვლის, რომ უკანასკნელ ხანს აზვირთებული რეპრესიების ტალღა დაემუქრა ადამიანის უფლებების პრინციპების დაცვას საქართველოში. აი, რა გვაცნობა ამ ორგანიზაციის მდივანმა, ქ-მა ელენე ლებედევამ:

იგორ გიორგაძის მიერ ნაპოვნ პარლამენტის შენობის გეგმას მოჰყვა ის, რომ რამდენიმე საათის შემდეგ სწორედ მის საძებნელად მივიდნენ ჰელსინკის კავშირის წევრთან, ზურაბ ვარდოსანიძესთან, რომელიც ერთხანს კურირებდა ამ კავშირის ადამიანის უფლებათა კომისიას. იგი, სხვა ზვიადისტებთან ერთად, აქტიურად მოუწოდებდა ნოემბრის არჩევნების ბოიკოტისკენ, სწორედ ამ არჩევნებში აპირებს აქტიურ მონაწილეობას იოსელიანი.

დააკავეს 54 წლის ნინო ტატიშვილი, პეტრე გებახიანის დედა. მიუხედავად იმისა, რომ პეტრე გელბახიანი უარყოფდა მის მიმართ წაყენებულ ბრალდებას ჯაბა იოსელიანზე თავდასხმის მცდელობის გამო, ექვსი თვის წინ, სამწლიანი სასამართლო პროცესის შემდეგ, რომლის დროსაც იყენებდნენ წამების მეთოდს, მას გამოუტანეს სასიკვდილო განაჩენი. იმავდროულად, ნინო ტატიშვილის მეუღლეს, მედიცინის მეცნიერებათა პროფესორს გედევან გელბახიანს მიუსაჯეს 13 წლით თავისუფლების აღკვეთა.

დააკავეს პრეზიდენტ გამსახურდიას ბევრი სხვა მომხრეც. ამ უკანასკნელთ თვით საშინელ ზმანებაშიც კი ვერ წარმოუდგენიათ რაიმე საქმეში თანამონაწილეობა იოსელიანთან, რომელიც დღესაც. იკვეხნის გამსახურდიას დამხობას. კერძოდ, დააკავეს უნივერსიტეტის ყოფილი პროფესორი, ოლიმპიური ჩემპიონი ლერი გოგოლაძე და რიგი სხვა პირები.

იმ რამდენიმე თვის მანძილზე, რაც ძალას იკრებდა ბოროტმოქმედებასთან გამოცხადებული ბრძოლის ამჟამინდელი კამპანია, რესპუბლიკაში არ გახსნილა არც ერთი გახმაურებული დანაშაული, სამაგიეროდ გამოვლენილია არჩადენილი ბოროტმოქმედებანი. ასე დააპატიმრეს 1990 წლის სამოქალაქო დაუმორჩილებლობის მშვიდობიან აქციებში მონაწილეობით საზოგადოებისთვის ფართოდ ცნობილი პიროვნება, ყოფილი უზენაესი საბჭოს ყველაზე ახალგაზრდა წევრი - ზვიად ძიძიგური. მასთან ერთად დააპატიმრეს კიდევ რამდენიმე პირი, მათ შორის, მისი სიძე და ძმა. მეორე დღესვე, სატელევიზიო დაკითხვისას თითოეული მათგანი აღიარებს, რომ სწორედ ის იყო ტერორისტული ჯგუფის თავკაცი და რომ მათ სურდათ ხიდის აფეთქება. ერთ-ერთმა მომნანიებელმა, გია ყორბესაშვილმა ვენები გადაიჭრა. პრაქტიკულად ყველას ეტყობოდა ფიზიკური ზემოქმედების კვალი - ზუსტად ისევე, როგორც ოდესღაც იოსელიანზე თავდასხმის მცდელობისთვის ბრალდებულებს.

გოჩა ოთხოზორიას მიმართ წაყენებულ ბრალდებებში ფიგურირებდა მისი ყოფნა ლეგიტიმური ეროვნული გვარდიის რიგებში, ხოლო ვალტერ შურღაიას მიმართ - დამხობილი უზენაესი საბჭოს სესიაში მონაწილეობა. შესაბამისად, მათ მიესაჯათ 10 და 13 წლით თავისუფლების აღკვეთა.

რესპუბლიკაში "მხედრიონის" წევრების რამდენიმეწლიანი შეუზღუდავი ბატონობის შედეგად მოხდა მათი საფუძვლიანი ჩანერგვა ქვეყნის დანგრეულ ეკონომიკაში და პრაქტიკულად სწორედ მათ მოიპოვეს მონოპოლია იმ სფეროებზე, რომელთაც თუნდაც რაღაც შეინარჩუნეს. თავის დროზე ყოფილი პარტიული "ბოსის" გივი გუმბარიძის ხელდასმით შექმნილი "მხედრიონი" ბოლო დრომდე აღჭურვილი იყო იარაღის ტარების უფლებით. მათი მხოლოდ ხსენებაც კი შიშის ზარს სცემს მოსახლეობას. ყველა ბოროტმოქმედება, რომელიც უკვე რამდენიმე წელია ხორციელდება "მხედრიონის" წევრთა მიერ, უკანასკნელ დრომდე დაუსჯელი რჩებოდა. თვით ბანდის წევრთა მიმართ ბოლო თვეების მანძილზე განხორციელდა გაუხსნელი ტერორისტული აქტები.

ბოროტმოქმედებასთან ბრძოლა შევარდნაძემ იმთავითვე გამოაცხადა, როდესაც ხელისუფლებაში დაბრუნდა "მხედრიონისა" და რუსეთის სპეცდანიშნულების ნაწილების მეშვეობით. "მხედრიონი", რომელიც თავის მოღვაწეობას სწორედ ბოროტმოქმედთა წინააღმდეგ ბრძოლად წარმოაჩენდა, პრაქტიკულად თითქმის იქცა ქვეყნის სრულუფლებიან ბატონ-პატრონად.

გია ჭანტურიაზე წარმატებით განხორციელებული თავდასხმის შემდეგ რამდენიმე დღეში, აწ უკვე გადაყენებული იგორ გიორგაძე გენერალ-ლეიტენანტის ჩინით დააჯილდოვეს.

ამ ხნის განმავლობაში უამრავი ხალხი გაასამართლეს - არა მხედრიონელები, არამედ უმთავრესად ზვიად გამსახურდიას მომხრენი. მათ მიმართ წაყენებული ბრალდებები ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. საერთაშორისო სამართალდამცავი ორგანიზაციების არც ერთ მიმართვას და დასავლეთის პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებულ პუბლიკაციებს არანაირი ეფექტი არ მოუხდენია, უფრო მეტიც, უკუქმედება მოჰყვა. უამრავი ხალხი, განსაკუთრებით პროვინციებში, ბრალდების წამოყენების გარეშე ჰყავთ გამომწყვდეული ციხეში.

არჩევნების წინ შევარდნაძე ცდილობს "მხედრიონთან" ანგარიშსწორებით უფრო პოპულარული გახდეს ხალხში. მასზე თავდასხმის მცდელობისთანავე შევარდნაძე მოინახულა გრაჩოვის თანაშემწემ ლაპშოვმა. მათ განიხილეს ე.წ. ოპერატიული ჩარევის საკითხები. კანონით მაქსიმალურად გამაგრებულ 45 ათასიან ქართულ არმიაში 35 ათასი რუსეთის სამხედრო ნაწილებზე მოდის. შეთანხმება მათი საქართველოში განლაგების თაობაზე პარლამენტის მიერ დღემდე არ არის რატიფიცირებული. რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, თავის დროზე მიღწეულ იქნა შეთანხმება ჯარების ეტაპობრივი გაყვანის თაობაზე. აფხაზეთის რკინიგზა, რომლის დაცვის საბაბითაც მოხდა მათი ხელმეორედ შეყვანა, დღემდე არ მოქმედებს. 300 ათასი ლტოლვილი უსახლკაროდ დაეხეტება. საქართველოს წყლებში დათარეშობენ რუსეთის წითელდროშიანი სამხედრო გემები.

## ანტისაარჩევნო ტრიბუნა

# ყოველი იდეის რეალობას განსაზღვრავს მისთვის თავგანწირვის უნარი

**ეთერ მგალობლიშვილი, წმინდა ილია მართლის საზოგადოების წევრი (1988 წლიდან), ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, ჰყავს მეუღლე და ქალიშვილი.**

კორესპონდენტი: თვლით თუ არა საპარლამენტო ოპოზიციას ეროვნული ძალების პოტენციურ მოკავშირედ და მიღწეულია თუ არა ერთიანობა ეროვნულ ძალებში?

ეთერ მგალობლიშვილი: "საპარლამენტო ოპოზიციამ" საქმით თუ სიტყვით ხელი შეუწყო ხალხის მიერ არჩეული კანონიერი პრეზიდენტისა და ხელისუფლების იარაღის ძალით დამხობას, გულგრილად დასცქეროდნენ მშვიდობიანი მიტინგებისა და მანიფესტაციების მონაწილეთა უმოწყალოდ დაღვრილი სისხლის გუბეებს. ისინი წარმოადგენენ პარლამენტს, რომელმაც ხალხის ნების წინააღმდეგ საქართველო დსთ-ში შეიყვანა (არა აქვს მნიშვნელობა, ხელის აწევით დასტური ვინ მისცა და ვინ არა), ქართველი ხალხის საზიანოდ მიიღო არაერთი გადაწყვეტილება, ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ ეროვნულს კი არა, ანტიეროვნულ ძალებს წარმოადგენენ. ამ თვისობრივი სხვაობის გამო, ეროვნული ძალები მათთან ვერ გაერთიანდებიან.

თუ ეროვნულ ძალებში სამშობლოს მხოლოდ სიყვარულით გულანთებულ ადამიანებს კი არა, მისი ინტერესებისთვის შეუპოვრად მებრძოლ, უკომპრომისო პიროვნებებს გულისხმობთ, მაშინ პირდაპირ უნდა გითხრათ, რომ დღევანდელ ვითარებაში მიღწეულია მათი ერთიანობის რეალური საფუძველი, ეს გახლავთ დამოკიდებულება არჩევნებისადმი, მასში მონაწილეობა, თუ არმონაწილეობა - ანუ თანამშრომლობა თავსმოხვეულ ხელისუფლებასთან, თუ მშვიდობიანი პოლიტიკური გზებით მასთან ბრძოლა საბოლოო გამარჯვებამდე. ძალები, რომლებიც ამ დილემიდან ერთ-ერთს აირჩევენ, ცხადია, წინასაარჩევნო პერიოდში მტკიცედ უნდა გაერთიანდნენ. მე პირადად, დღეს პოტენციურ მოკავშირედ ვხედავ ყველა იმას, ვინც, არსებული რეჟიმის პირობებში დანიშნულ არჩევნებს გამოუცხადებს ბოიკოტს, საქმით გაირჯება მის განსახორციელებლად. უფრო კონკრეტულად თუ გაინტერესებთ , უკვე მყავს მოკავშირე, ჩემი მოკავშირეა ზვიადის პარტია. გამოკვეთილი პოზიციის გამო, პოტენციურ მოკავშირედ ვერ ჩავთვლი იმას (რაოდენ პატივსაცემი პიროვნებაც უნდა იყოს), ვინც მონაწილეობას მიიღებს არჩევნებში, ან კიდევ სიტყვით ბოიკოტს უცხადებს, საქმით კი სასურველ პოლიტიკურ ორგანიზაციებსა თუ პიროვნებებს ხელს უწყობს არჩევნებში მონაწილეობის მიღებაში.

საქართველოს მოსახლეობას 11 ოქტომბრის "იმედის არჩევნებმა" იმედი გაუცრუა. 11 ოქტომბერს მოხერხდა საარჩევნო ილუზიების შექმნა - " მოდით და დაგვამარცხეთ". ამომრჩევლები მართლაც მივიდნენ, გადაშალეს მათთვის არასასურველნი. შედეგი: გადაშლილებმა გაიმარჯვეს. დღესაც გაისმის: მივალთ და დავამარცხებთ. რა არის ეს, თქვენის აზრით, საკუთარ ძალებში დაურწმუნებლობა თუ თავის მოტყუება?

11 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობა მართლაც მიიღო მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა, მათ შორის, კანონიერი ხელისუფლების აღდგენის ზოგიერთმა მომხრემაც. სამწუხაროდ, მათ არ ისმინეს მათ მიერვე არჩეული საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ბატონ ზვიად გამსახურდიას მოწოდება-ბოიკოტი გამოეცხადებინათ ხუნტის მიერ დანიშნული არჩევნებისთვის. თუმცა, ბიულეტენებში გადახაზეს დასახელებული კანდიდატების ყველა გვარი, მაგრამ "საარჩევნო კომისიისთვის" ამას ხელი არ შეუშლია ხმების საჭიროებისამებრ დათვლაში. ამომრჩეველთა ნაწილი კი საარჩევნო ყუთთან "დიდი პოლიტიკოსის" ასარჩევად მივიდა იმ იმედით, რომ "საერთაშორისო ავტორიტეტის წყალობით", იგი ხალხს დააპურებდა, გაათბობდა, ქვეყანას ქაოსიდან გამოიყვანდა, სიმშვიდესა და სიკეთეს დაამკვიდრებდა. დღეს, ამ მხრივ, "იმედის არჩევნების" წინა პერიოდისგან განსხვავებით, მოსახლეობაში სულ სხვა განწყობილებაა, არათუ ფართო ფენები, არამედ მისი თავგამოდებული მომხრეებიც ვეღარ ხედავენ მომხიბვლელ იდუმალებას "დიდ პოლიტიკოსში". იგი თავისი ანტიეროვნული ზრახვებით თავიდან ბოლომდე სამარცხვინოდ გაშიშვლებულ, გაკოტრებულ



პიროვნებას წარმოადგენს. ამჟამად, მისგან აღარავინ აღარაფერს ელოდება (მხედველობაში თუ არ მივიღებთ სკამებს, რომლებიც წინასწარი გარიგებების საფასურია). ხალხი დარწმუნებულია არჩევნების შედეგების მორიგ ფალსიფიცირებაში, რისი გამოცდილება და უნარი არსებულ ხელისუფლებას აქვს. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, ამომრჩეველთა დიდი ნაწილი ილუზიების ტყვეობაში არ აღმოჩნდება და მონაწილეობას არ მიიღებს უკანონო ხელისუფლების მიერ დანიშნულ არჩევნებში. ხოლო მოსახლეობაში თუკი აქა-იქ მაინც გაისმის - მივალთ და გადავშლით - ამის მიზეზი საკუთარ ძალებში დაურწმუნებლობაა, თავის მოტყუება კი არა, გაუცნობიერებელი შიშია, რომლის რეალური საფუძველი დღეს საქართველოში არსებობს, და რომლის დაძლევაც აუცილებელია.

**კორ. - იყო ეროვნული ძალებისა და საპარლამენტო ოპოზიციების გაერთიანების მცდელობა საქართველოს პრობლემების ირგვლივ. ამ მიზნით შეიქმნა სათათბირო, რომელიც დღეს უკვე დაშლილია. თქვენის აზრით, რამ გამოიწვია ამ გაერთიანების განუხორციელებლობა?**

ე.მ. - ამ გაერთიანების იდეა საფუძველშივე განწირული იყო (სწორედ ამან და არა პიროვნულმა ახირებამ განაპირობა ის, რომ სათათბიროს მუშაობაში ერთხელაც არ მიმიღია მონაწილეობა) იმ მარტივი მიზეზების გამო, რომ რადიკალურად განსხვავებული პოზიციები ისევე შეუთავსებელნი არიან, როგორც წყალი და ზეთი. გაერთიანება მხოლოდ და მხოლოდ ერთ-ერთი მხრიდან პოზიციის დათმობის ხარჯზე იყო შესაძლებელი. ამ შემთხვევაში საპარლამენტო ოპოზიციას თავისი პირადი ინტერესები საქართველოს ინტერესებისთვის უნდა დაექვემდებარებინა, რადიკალურ ოპოზიციას კი საქართველოს ინტერესები - საპარლამენტო ოპოზიციის ინტერესებისთვის. როგორც მოსალოდნელი იყო, სამწუხაროდაც და საბედნიეროდაც, არც ერთ და არც მეორე მხარეს ამის სურვილი არ აღმოაჩნდა.

**კორ. - არის მოსაზრება, რომ ეროვნული დაუმორჩილებლობა და არჩევნების ბოიკოტი კარგს ვერაფერს მოგვიტანს, რომ მხოლოდ არჩევნებში მონაწილეობის მიღებით არის საქართველოს გადარჩენა შესაძლებელი. როგორ კომენტარს გაუკეთებდით საარჩევნო ილუზიებით შეპყრობილთა პოზიციას?**

ე.მ. - დღეისთვის აშკარად არის გამოკვეთილი არჩევნების მომხრეთა ორი კატეგორია: პირველს მიეკუთვნება ის, ვისაც ხელისუფლებაში მოსვლა ქვეყნის საკეთილდღეოდ სურს, გულწრფელად სჯერა არჩევნებში მონაწილეობის სარგებლიანობისა, იმედოვნებს, რომ გამარჯვების შემთხვევაში შეძლებს ქვეყნის უკუღმა ტრიალის შეჩერებას, ყოველ შემთხვევაში, ტრიბუნას მაინც გამოიყენებს საქმის სასიკეთოდ. ამავდროულად, მას შესანიშნავად აქვს გაცნობიერებული მეორე გზის - არჩევნების ბოიკოტის აუცილებლობაც და უპირატესობაც, მაგრამ მთელი რიგი სირთულეების გამო, იგი მიუღწევადი ეჩვენება. ასეთი მიდგომა ეროვნული მოძრაობისთვის იმთავითვე მიუღებელია, ვინაიდან **ყოველი იდეის რეალობას განსაზღვრავს არა დაბრკოლებათა ხვედრითი წონა, არამედ ამ იდეისადმი რწმენა, ერთგულება და მის ხორცშესასხმელად გაღებული ენერგია.**

მშვიდობიანი ბრძოლის ყველაზე ეფექტური ფორმა - ეროვნული დაუმორჩილებლობა - უშედეგო არასდროს ყოფილა და არც იქნება. ეროვნული დაუმორჩილებლობის შედეგად ჩაიშალა კომუნისტების მიერ დანიშნული 1990 წლის მარტის არჩევნები და ჩატარდა პირველი მრავალპარტიული, თავისუფალი არჩევნები, რომელმაც ქართველ ხალხს საშუალება მისცა გამოემჟღავნებინა დამოუკიდებლობისკენ სწრაფვის უდიდესი სურვილი. და საერთოდ, განა ეროვნული დაუმორჩილებლობა არ უდევს საფუძვლად ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ყოველ უდიდეს მონაპოვარს?

რაც შეეხება საარჩევნო ილუზიებით შეპყრობილებს, მათ პოზიციას არჩევნებთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, უკომპრომისო ბრძოლის გაუსაძლისობის ქვეცნობიერი შეგრძნება განსაზღვრავს.

არჩევნების მომხრეთა მეორე კატეგორიას მიეკუთვნება ის, ვინც ხელისუფლებისკენ პირადი კეთილდღეობისთვის ისწრაფვის. მან კარგად იცის, რომ არჩევნებში მისი გამარჯვებით ქვეყნის სასიკეთოდ არაფერი შეიცვლება, მაგრამ იგი ამას ხმამაღლა არ აცხადებს, უფრო მეტიც, საკუთარ თავსაც არ უტყდება ამაში და ხშირად იმეორებს ფრაზებს: დაუმორჩილებლობამ, საპროტესტო მიტინგებმა შედეგი არ მოგვცა, უმჯობესია ეროვნული ძალების ნაწილმა არჩევნებში მიიღოს მონაწილეობა. სინამდვილეში კი იგი არსებული რეჟიმისადმი დაუმორჩილებელი და არც ეროვნული ძალა არასოდეს ყოფილა. ამ კატეგორიის პოზიციას, უდავოდ, უტილიტარიზმი უდევს საფუძვლად.

დაბოლოს, ორივე კატეგორიის გასაგონად მინდა დავძინო, რომ არჩევნებში მათი მონაწილეობა არამარტო გაუმართლებელი, არამედ უპერსპექტივოცაა, ვინაიდან: დღეს ქვეყნის და, ცხადია, არჩევნებისაც, მართვის ყველა სადავე ერთპიროვნულად ხელთ უპყრია ე. შევარდნაძეს, რომლის ზურგს უკან საქართველოში მის მიერ დაკანონებული რუსული ჯარი დგას; ხალხს არა აქვს სურვილი მონაწილეობა მიიღოს დიქტატორული რეჟიმის პირობებში დანიშნულ არჩევნებში. თუმცა, არჩევნების "წარმატებით ჩატარების" შემთხვევაში, გარკვეული მიზნებით, პარლამენტში მათ რამდენიმე ადგილს გაუნაწილებენ, მაგრამ საბოლოო ჯამში ისინი მაინც გაკოტრებულნი, ამომრჩევლები კი კვლავაც იმედგაცრუებულნი აღმოჩნდებიან.

**კორ. - მოსახლეობისთვის უცნობია არჩევნების ბოიკოტის განხორციელების მექანიზმი, რაში მდგომარეობს მისი არსი?**

ე.მ. - სულ მალე გახდება ცნობილი არჩევნების ბოიკოტის მექანიზმი, მაგრამ მის ასამუშავებლად, უცილობლად, ეროვნული ძალების სრული კონსოლიდაცია, ბრძოლისუნარიანობა, ორგანიზებულობაა საჭირო.

მოვუწოდებ ყველა ეროვნულ ძალას ნუ დაზოგავს ენერგიას საერთო მიზნის მისაღწევად.

# ტრადიციონალისტები ავანგარდში

**წინასაარჩევნო კამპანიის ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულება იქნება კანონიერი ხელისუფლების მომხრეთა ხმების მოპოვება. უკვე ნათელია, რომ ამ მხრივ ყველაზე დიდ წარმატებას აღწევენ ტრადიციონალისტები**

იმ ლეგალურ არგუმენტებთან ერთად, რომელსაც უდავოდ ფლობენ შევარდნაძესთან თანდათან დაახლოებული და მმართველ ელიტაში შეჭრილი ტრადიციონალისტები, აქტიურ მოქმედებაშია არალეგალური ხერხებიც - ე.წ. ზვიადისტთა ელიტის ნაწილთან საიდუმლო სერობანი და ამავე ორიენტაციის მასის დარწმუნება, რომ აკაკი ასათიანი ზვიად გამსახურდიას საქმის გაგრძელებას აპირებს, საერთოდაც პრეზიდენტის მითითებით მოქმედებს და, რა იცით, იქნებ დღემდე საიდუმლო კონტაქტიც კი აქვს მასთან.

ეს ბოლო თეზისი, საფიქრალია, არჩევნების მოახლოებასთან ერთად, სულ უფრო ხშირად გაიჟღერებს სხვადასხვა ძალების მხრიდან, ცხადია, კულუარულად, კერძო საუბრებისა და ჭორის სახით.

ავტორის შინაგან პრინციპულობას (ამ ცოლის მსგავსად, რომელიც ამტკიცებს, რომ ქმარს ღალატობს მხოლოდ ხორციელად, სულით კი მისი ერთგული რჩება) და გათვლილია კანონიერების ყველაზე მიამიტ მომხრეებზე, მეორე ნაწილი კი - დასტურია მისი წინდახედულობისა და დიპლომატიური ალღოსი, რაც ნიშანი უნდა იყოს პუტჩისტური საზოგადოებისთვის, რომ არსებითად თავის კაცთან აქვს საქმე.

ამა ქვეყნის ძლიერთა წინაშე ასათიანმა უკვე მრავალგზის მოახდინა თავისი მობილური, მოქნილი ბუნების დემონსტრირება. რად ღირს თავად ის ფაქტი, რომ მან, ზომიერი, ცენტრისტული ორიენტაციის მქადაგებელმა, მოახერხა ალიანსი ეროვნულ-დემოკრატთა ბოლშევიკ ლიდერთან, რომელიც ერთ დროს, ციხიდან პირადად მას უთვლიდა მუქარას. კონტაქტი არ შედგა, ჭანტურიას მოულოდნელი, მაგრამ ლოგიკური მკვლელობის გამო.

ასათიანი არ დაბნეულა და სულ მალე ტრადიციონალისტური ზომიერი ოპოზიციონერობა ადვილად შეუთავსა შევარდნაძის მაქსიმალისტურ ავტორიტარიზმს, ეროვნული მონარქიზმის იდეა მოარგო ინტერნაციონალისტური კოლონიალიზმის მომძლავრებულ ნაკადს. მორიგების, ერთმანეთის გამომრიცხავი დეკლა-

გვეტყვიან, არალეგალური პროპაგანდის მეთოდები სათვალავში არ არის მისაღები, მაგრამ ჩვენ ხომ უკვე თავად დავრწმუნდით, რომ ჭორებით შესაძლებელია დიდი კატაკლიზმებისთვის ნიადაგის მომზადებაც კი, არამცთუ ამა თუ იმ ძალის წინ წამოწევა.

ასათიანის არსენალშია კიდევ რამდენიმე მოტივი, ამათგან მთავარი - მან ჩაშალა 1992 წლის იანვარში უზენაესი საბჭოს ამოქმედების მცდელობა, როდესაც კინოს სახლში გამართულ შეკრებაზე უარი განაცხადა თავმჯდომარის მოვალეობის შესრულებაზე. ცხადია, რა მოსატანია ის, რომ იგი ასეთივე ლოგიკით მოქმედებდა კანონიერი უზენაესი საბჭოს მიმართ უკვე პუტჩის წინა პერიოდში, ოდეს გულის ჭრილობებს იშუშებდა ქობულეთის წყნარ სანაპიროზე. და მაინც, პროპაგანდისტები არ ცხრებიან და ხუნტის დაკანონების ჩაშლას ასათიანის დიდ დამსახურებად მიიჩნევენ.

მართლაც, აკაკი ასათიანმა არ მისცა საშუალება სიგუა-კიტოვან-იოსელიანის სამხედრო საბჭოს დაეკანონებინა თავისი მმართველობა არჩეული უზენაესი საბჭოს მეშვეობით, თუკი, ცხადია, ამას შეძლებდნენ კომუნისტების გაძევებული დეპუტაციის მეშვეობით. მაგრამ განა ეს იმიტომ გაკეთდა, რათა უკანონობა აღკვეთილიყო?! ოპოზიციურ პარტიათა დიდი ნაწილი, მოსკოვში ხშირი ვიზიტების შედეგად მიღწეული შეთანხმებისამებრ, უკვე ელოდა შევარდნაძის ჩამოსვლას, რომელიც, სიგუას მთავრობის ლეგიტიმირების შემთხვევაში, მხოლოდ ოპოზიციად თუ მოევლინებოდა მშობლიურ საქართველოს. შევარდნაძეს სჭირდებოდა ქაოსი ქვეყანაში, რათა მშველელად მოვლინებოდა ხალხს და არ აწყობდა რაიმე იურიდიული ნორმით, თუნდაც უკანონო პროცედურით, დაკანონებული მმართველი რგოლი. მას თავად უნდა შეექმნა ახალი "კანონიერება" და ეს შესაძლებლობა მას შეუქმნეს.

ტრადიციონალისტებმა მნიშვნელოვანი უპირატესობა მოიპოვეს პერიფერიაშიც, სადაც, რა ხანია, შექმნეს საკმაოდ ძლიერი, ავტორიტეტული რგოლები. ამ ოთხი წლის განმავლობაში ეს რეგიონალური ორგანიზაციები კიდევ უფრო მოძლიერდა, თანაც მეტ-ნაკლებად ლეგალური საშუალებებით. ამას ისიც დაემატა, რომ ტრადიციონალისტებს თავისი ფინანსური "ლობი" ჰყავთ მთავრობაში და ახერხებენ შევარდნაძესთან მორიგებას.

ეს უკანასკნელი თეზა - მორიგება - თავად ასათიანის დიადი მიგნებაა, რომელიც მან უშუალოდ პუტჩის შემდეგ შესთავაზა საზოგადოებას: "ჩვენ ვერ შევრიგდებით, ამიტომ, მოდით, მოვრიგდეთ". ფორმულა თითქმის გენიალურია: პირველი ნაწილი ხაზს უსვამს მისი რირებული პრინციპებისა და რეალური მიზნების ერთმანეთთან შეთავსების ეს ბრწყინვალე უნარი ყველაზე ნათლად გამოჩნდა კონსტიტუციის პროექტის გარშემო გაჩაღებულ პერიპეტიებში. ტრადიციონალისტების მიერ წამოწყებული ეს კამპანია კიდევ ერთი ნიშანი იყო მათთვის, ვინც რეალურად მართავს საქართველოში სიტუაციას - ნახეთ, როგორი ბიჭი ვარ!

ასათიანის "ლობი" წარმართავს საქართველოს ფულად-საკრედიტო რეფორმას, რომლის აბსურდულობა დამტკიცებასაც კი არ საჭიროებს. სამაგიეროდ, შეიძლება ითქვას, რომ ტრადიციონალისტები ფლობენ ქვეყნის მართვის ერთ-ერთ უმთავრეს (თუმცა, კოლონიურ ქვეყანაში სიმბოლური მნიშვნელობის მქონე) ბერკეტს.

პარალელურად ტრადიციონალისტები და მათთან დაახლოებული ვითომდა არასამთავრობო, არაპოლიტიკური ანალიტიკური სამსახურები შესაშური ოსტატობით, არაპირდაპირი პროპაგანდით თხზავენ მითს იმის შესახებ, თუ რა ნაყოფიერად მუშაობდა ასათიანის კლანი უზენაეს საბჭოში, რაოდენ გამართული პროგრამა აქვთ და, საერთოდ, იმ დროის ბევრი პოზიტიური წამოწყება სწორედ მათ ეკუთვნით.

მაშ ასე, ტრადიციონალისტები ფრთხილად, ზედმეტი ხმაურის გარეშე, მიზანმიმართულად ინაცვლებენ პოლიტიკური ელიტის ავანგარდში და, ამავე დროს, ცდილობენ განიმტკიცონ საფუძველი ხალხში. ძლიერი ზურგი და მტკიცე საყრდენი - თუ მათ ორივე მოიპოვეს, საქართველოს პერსპექტივაში ელის კოლონიალიზმის მმართველობის გახანგრძლივება ზომიერი ეროვნულობის ნიღბით - ახალი მაცდური ეტაპისთვის, როდესაც განმათავისუფლებელ იდეას მორიგებისა თუ გარიგების თეორია შეცვლის.

არ არის გამორიცხული, რომ ეს გეგმა თავისთავად განხორციელდეს - ასათიანით, თუ მის გარეშე; არ არის გამორიცხული, მათ თავისი კვლავ გაიტანონ - ამჯერად არა ძალადობით, არამედ მათი მზაკვრობითა და ჩვენი უნიათობით. მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ ჩვენ არ მოვტყუვდეთ. მთავარია, არ გავითავისოთ ეს ვაჭრული სული, არ მოვიხიბლოთ სხვადასხვა ამწუთიერი მოტივებით განმტკიცებული ყალბი პერსპექტივებით, არ შევიყვაროთ ცინიზმსა და ანგარებაზე აგებული სამყარო. და თუ ესეც ვერ შევძელით, თავისუფლების ნიღაბთან გარიგება, შესაძლოა, ჩვენს რეალურ სახედ იქცეს და მაშინ ჩვენც, როგორც ერი და ჩვენი სამშობლოც, როგორც სახელმწიფო, თეატრალურ ილუზიად გარდაიქმნება.

**რომანოზ საგინაშვილი**

# ბოროტების ექსპერიმენტული ლაბორატორია

(დასასრული. დასაწყისი “თავისუფალი საქართველო" N18)

## “არ მინდა ასეთი ხელისუფლება!“

სადამსჯელო სტრუქტურების ნებისმიერი თანამშრომელი, თუნდაც თვითონ არ სჯიდეს, სცემდეს, აწამებდეს, შეურაცხყოფდეს, იპარავდეს... თუ გაჩუმდება და უბრალოდ თვალყურს მიადევნებს სხვის მიერ ჩადენილ უკანონობას, ის მაინც მონაწილეა ამ უკანონო ქმედებებისა. უკეთეს შემთხვევაში, ამგვარი პასიური როლის შემსრულებელი გულგრილია სხვისი სატკივარის მიმართ. მას უჩლუნგდება ელემენტარული ემოციები და სურვილები - დაჩაგრულს, გაჭირვებულ მდგომარეობაში მყოფს, ავადმყოფს გაუწოდოს დახმარების ხელი, მხარში ამოუდგეს ან, თუნდაც ადამიანურად შეიბრალოს. ზოგიერთი ცდილობს, ხმაურისა და ზედმეტი უსიამოვნების გარეშე სასწრაფოდ გასცილდეს იქაურობას. ყველა შემთხვევაში, ის ფიქრობს მხოლოდ თავის კეთილდღეობაზე, უბრალოდ, უძლებს ამ სისტემას და, საბოლოო ჯამში, კარგავს ზნეობრივ კრიტერიუმებს.

საუბედუროდ, ასეთი “ღირსეული“ ადამიანები წარმოადგენენ და განასახიერებენ ხელისუფლებას ციხეებსა თუ კოლონიებში საბჭოური რეჟიმის დამკვიდრებიდან დღემდე. საზოგადოების ამ არცთუ ისე მცირე ნაწილის დამოკიდებულება პატიმართა მიმართ არ შეცვლილა. ერთ-ერთი პატიმარი 80-90-იანი წლების მიჯნაზე იგონებს:

“ბანაკის ოფიცერი სულ გვიმეორებს “თქვენ ადამიანები არა ხართ, რომც გაგანადგუროთ, თქვენს გამო არანაირი უსიამოვნება არ შეგვხვდება“-ო. მართლაც, სამხრეებიანმა იცის, ჩვენს გამო მას არავინ დასჯის - აი, ეს კაცი განასახიერებდა ჩემთვის საბჭოთა ხელისუფლებას - არ მინდა ასეთი ხელისუფლება!“

ასეთ შედეგს იძლევა ადამიანის “აღზრდა“ კოლონიებში! სწორედ იქ “ გამოსწორების“ შედეგია ის, რომ საპატიმრო ადგილებიდან, ხშირ შემთხვევაში, გამოდიან ზნეობაგადაგვარებული, ცნობიერებაშეცვლილი, ნორმალურ ცხოვრებასთან სრულიად შეუგუებელი ადამიანები და ეს გაბოროტებული ხალხი ბუმერანგივით უბრუნდება საზოგადოებას. რეციდივისტთა დიდი ნაწილი, რომელთა დაჭერითაც ასე ამაყობენ სათანადო ორგანოები, სწორედ ის მრავალგზის ნასამართლევი ხალხია, რომელიც გარეთ აღარავის სჭირდება. ამისკენაა მიმართული საბჭოური ლენინურ-სტალინური პენიტენციარული სისტემა - ხელოვნურად გამოიწვიოს საზოგადოებაში დაპირისპირება, გამწვავებული ურთიერთობები - ასეთი საზოგადოების მართვა ხომ გაცილებით უფრო ადვილია მავანთათვის?! ყველაფერი შეკრულ წრეზე ბრუნავს - “გამოსწორებული ბოროტმოქმედები“ მშობლიურ ბანაკებს უბრუნდებიან და ხშირად განახლებული კონტინგენტითაც. მსჯავრდებულთა ცნობილი აფორიზმი - “მილიცია იჭერს არა დამნაშავეს, არამედ იმას, ვინც ადვილად შეიძლება დაიჭიროს“ - მართლაც პრაქტიკულად წარმატებით ხორციელდება.

“ისმის კითხვა - ვინ არის უკეთესი, ისინი - ადმინისტრაცია, ჩვენი “აღმზრდელები“, თუ ჩვენ - კრიმინალები და დამნაშავეები?! ეს ფრიად საკამათო საკითხია.“ - ასეთ დასკვნამდე მიდის 32 წლის გამოცდილი კრიმინალი.

## "კოლონიური" ბიზნესი

გვინდა შევეხოთ კიდევ ერთ მტკივნეულ საკითხს - ამნისტიას. მისი გამოცხადება უდიდეს სიხარულს ანიჭებს უფრო მეტად კოლონიის ადმინისტრაციას, პროკურატურის და შესაბამისი სამართველოს მუშაკებს, ვიდრე პატიმარს. ამნისტია - ესაა გამდიდრებისა და ძალაუფლების გამომჟღავნების კიდევ ერთი შესაძლებლობა. ერთ-ერთი პატიმარი წერს: “კოლონიის უფროსი ასე მიმართავს კანონით ამნისტირებულს - ვნახავ, ამნისტია შეგეხო თუ არაო... და ეს ხდება 1990 წელს!“

ამნისტიის შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, მაინცადამაინც სახარბიელო დასკვნამდე ვერ მივალთ. გამოდის, რომ სადამსჯელო დაწესებულებების უმაღლეს ეშელონებში ხელმძღვანელობენ არა პატიმრის ქცევითა და მდგომარეობით, არამედ, თავისი პირადი ინტერესებითა და გამორჩენით. შეძლებული პატიმრები თავისუფლდებიან, რადგანაც მზად არიან გადაიხადონ თავისუფლების საფასური (საფასური პირდაპირი მნიშვნელობით, გარკვეული თანხით), უბრალო მოკვდავები - “უპატრონო“ პატიმრები კოლონიებში რჩებიან, თუმცა, ხშირ შემთხვევაში, მათ ამნისტია ეხებათ. ამგვარად, კორუფცია მძვინვარებს - დამნაშავე ელემენტები ქმნიან მაფიოზურ სტრუქტურებს, რომლებშიაც ერთიანდებიან დამნაშავე სამყაროსა და არანაკლებ ბოროტმოქმედი ადმინისტრაციის წარმომადგენლები. ეს კავშირები შორის, სადამსჯელო დაწესებულებების მიღმა მიდის და, არცთუ იშვიათად, მოიცავს ხელისუფლების უზენაესი თანამდებობის პირებსაც. სამართლიანად შეიძლება ითქვას, რომ სადამსჯელო სამმართველოები და სამინისტროები მთელი ატრიბუტიკით - ესაა სახელმწიფო სახელმწიფოში თავისი მანკიერი წესებითა და კანონებით.

## ადმინისტრაციის თეთრხალათიანი თანამშრომლები

კიდევ ერთი სერიოზული პრობლემაა პატიმართათვის სამედიცინო მომსახურეობის ფორმალური არსებობა. ექიმები, გამონაკლისის გარდა, არანაირად არ ასრულებენ ჰიპოკრატეს ფიცს. მედპერსონალი ამ სისტემაში წარმოადგენს იგივე ადმინისტრაციას, რომელიც აწამებს, ამცირებს, შეურაცხყოფს პატიმარს, ეხმარება სადამსჯელო დაწესებულებების წარმომადგენლებს ავადმყოფი პატიმრების დასჯა - გატეხაში. მასიურად ხდება მსჯავრდებულთათვის მედიკამენტების ფორმალურად დანიშვნა ბლანკებზე გაფორმებით, ჯანმრთელობის ყალბი ცნობების გაცემა, შრომისუუნარიანობის შესახებ ფიქტიური საბუთების შექმნა, მათი ხელმოწერით თითქოსდა ჯანმრთელი დამნაშავეების კარცერებში და საჯარიმო იზოლატორებში მოთავსება, ავადმყოფების დასჯა შესაბამისი მკურნალობის დანიშვნის მოთხოვნის გამო. მედიკოსები ადმინისტრაციასთან ერთად ახდენენ პატიმართა ცხოვრების დეზორგანიზებას. მსჯავრდებული მოკლებულია უფლებას - მიიღოს ელემენტარული სამედიცინო დახმარება.

როდესაც საუბარია ზონის მედპერსონალზე, შეუძლებელია არ გავიხსენოთ პატიმართა უსაყვარლესი ანეკდოტი : “ექიმო, მტკივა თავი და მუცელი.“ ექიმი აბს ორად გადატეხს და აძლევს მსჯავრდებულს: “ერთი ნახევარი - თავისთვის, მეორე - მუცლისთვისო.“

საპატიმრო დაწესებულებებიდან, როგორც წესი, გამოდიან შრომისუუნარო, ცემა-წამებისგან დაინვალიდებული, სულიერად და ფიზიკურად დასახიჩრებული ადამიანები. მეტიც, იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს მედიკოსთა ძალისხმევა მიმართულია არა ავადმყოფის განკურნებისკენ, არამედ პირიქით, იმისკენ, რომ ხელი შეუწყონ ზოგიერთი დაავადებისა და ეპიდემიის გავრცელებას ზონებში. არავინ ფიქრობს იმის შესახებ, რომ უკვე დასნეულებული, ელემენტარულ სანიტარულ პირობებს და სამედიცინო დახმარებას მოკლებული განთავისუფლებული ყოფილი მსჯავრდებული გარეთაც ხდება დაავადების გადამტანი და გამავრცელებელი. ერთის მხრივ, ამითაც შეიძლება ავხსნათ ტუბერკულოზის - პატიმრებს შორის ამ ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ავადმყოფობის - გახშირებული შემთხვევები ჩვენში.

თუ ვენდობით მედიკოსთა და სოციოლოგთა მიერ 1992 წლის მიწურულს ჩატარებულ გამოკვლევებს, ყოფილი სსრკ-ს ტერიტორიაზე ტუბერკულიოზით დაავადებულთა უმრავლესობას ყოფილი პატიმრები წარმოადგენენ. იმავე მონაცემებით, ყოველი მე-8 პატიმარი ტუბერკულიოზითაა დაავადებული.

“ეს ადამიანები ცხოვრობენ სრული უკანონობის პირობებში, ჩვენ კი არ ვუქმნით ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად ელემენტარულ ყოფით კომფორტს - ვის ვზრდით?! საზოგადოების მტრებს?! დაავადებულ, დასნეულებულ ადამიანებს?!“ - ასეთი იყო ერთ-ერთი ინსპექტორის დასკვნა.

## უუფლებობის ზონა

ფსიქოლოგებსა და ექსპერტებს არაერთხელ გამოუტანიათ დასკვნა, რომ კოლონიაში პატიმრის სიცოცხლის ორგანიზება ხდება ისე, რომ ადამიანი გამუდმებული სტრესისა და ფსიქიკური დაძაბულობის მდგომარეობაში იმყოფებოდეს: მუდამ იყოს ყველას თვალწინ, არ განმარტოვდეს, არ მიეცეს აზროვნებისა და ფიქრის საშუალება. ზონაში თითოეული თვალს ადევნებს ყველას. ადმინისტრაცია კი ყველაფერს პატიმრის ნაცვლად წყვეტს, უგეგმავს ცხოვრებას, საათებად უყოფს დღეს, აიძულებს მსჯავრდებულს მიჰყვეს რეჟიმს, ხშირად აუტანელს მისთვის. საბჭოური პენიტენციარული სისტემის გამოცდილებით შეიარაღებული ადმინისტრაცია თესავს მისთვის ესოდენ საჭირო ძალადობის, შიშის, მტრობისა და უნდობლობის ატმოსფეროს.

ამგვარი გაუსაძლისი პირობები - ყოფითი თუ მორალური - არასდროს გამოასწორებს და გააკეთილშობილებს დამნაშავეს, პირიქით, თრგუნავს მის პიროვნებას და ცნობიერებიდან უშლის მოგონებებს იმის შესახებ, თუ როგორ ცხოვრობს ხალხი ციხე-კოლონიების გალავნებს გარეთ - ესეც საბჭოთა პენიტენციარული სისტემის გენიალური მიგნებაა - წარმოდგენა შეუცვალოს პატიმარს მის გარემომცველ სამყაროზე. რუსეთის კოლონიაში სასჯელის მოსახდელად გაგზავნილი ერთ-ერთი პატიმარი 1987 წელს წერდა: “კოლონია კლავს ადამიანურ წარმოდგენებს ცხოვრებაზე... ბანაკში ვხედავ სიცრუეს, თვალთმაქცობას, ნაძირალობას, გაუტანლობას, სრულ განუკითხაობას... ზონები ლავრენტი ბერიას 37 წლით ცხოვრობენ... მორალი და პრინციპები ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ცნებებია აქ და ისინი კანონთან არანაირ კავშირში არ არიან“.

მართალია, შინაგან საქმეთა სამინისტროს აპარატი პერიოდულად განახლებას განიცდის, მაგრამ დევიზი იგივე რჩება - მორალურად მოსპონ მსჯავრდებული, გაანადგურონ როგორც ინდივიდი, ფეხქვეშ გათელონ იგი. თუ პატიმარმა მაინც მოახერხა ადამიანად დარჩენა და თავისი დამოუკიდებელი აზრი და შეხედულება გააჩნია, მას უყურებენ როგორც უცხოს, მის მიმართ აგრესიულად და ანტიპათიურად განეწყობიან.

რით შეიძლება პატიმარმა ამგვარი განუკითხაობისა და უკანონობის პირობებში დაიცვას თავი? საპროტესტო განცხადებით? ადმინისტრაციის კანონსაწინააღმდეგო ქმედებების მაღალ ინსტანციებში გასაჩივრებით?

“ადმინისტრაციამ საგანგებოდ გამაფრთხილა, რომ თუ მათი უკანონო ქმედებების შესახებ რაიმე ინფორმაციას გავახმაურებდი, ჩემს ახლობლებს გარანტიას მისცემდნენ ჩემი გვამი მიწაში ორი მეტრის სიღრმეზე ეძებნათ“ - წერს განცხადებაში პატიმარი (1988 წლის 1 სექტემბერი).

შემდეგი ფრაგმენტიც ტიპიურია: “ადმინისტრაციის პოზიცია ყოველთვის უცვლელია - “სადაც გინდა მიჩივლე, ვისაც გინდა მისწერე, მხოლოდ შენს თავს ავნებ. მაინც ჩვენთან გაირჩევა შენი საჩივრები. როგორც არაერთხელ დარწმუნდი, ჩვენ ჩვენებურად გავარჩევთ ..“

და კვლავ ჩვეული და საოცრად ნაცნობი სიტუაცია: “დიახ, მოდიან ზონებში კომისიები, ამოწმებენ, მაგრამ ჩვენ, პატიმრები მათ ვერ ვხედავთ, თუ ისინი ზონის ტერიტორიაზე შემოვლენ, მათ ჩვენთვის არა სცალიათ და, კიდევ, ვინ გაბედავს კარცერის შიშით მათთვის რაიმე არასასურველი ინფორმაციის მიწოდებას, მათთან დაჩივლებას?“ (პატიმარი ქალის წერილიდან, 1990 წელი).

როგორც წესი, სადამსჯელო სისტემაში ზოგიერთი მნიშვნელოვანი დარღვევის წარმოჩინება იწვევს მთელი პროკურატურისა და სამმართველოს თანამშრომელთა უკმაყოფილებას, რომ არაფერი ვთქვათ კოლონიების ადმინისტრაციაზე. ეს სრულიად არაა გასაკვირი, ყველა ეს ადამიანი ხომ ერთი სისტემის წარმომადგენელია, ყველა მუშაობს ამ სტრუქტურებში წლების მანძილზე. კანონდარღვევების აღმოჩენა ნიშნავს მათი მუშაობის არასწორი კურსის აღიარებას, მათ მიერ ამ უკანონობაზე თვალის დახუჭვას ან მისთვის ხელის შეწყობას, ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, მათ კეთილდღეობაზე სერიოზული იერიშის მიტანას. ვინ მისცემს ცალკეულ პირს, თუნდაც იმავე უწყების წარმომადგენელს, შსს და პროკურატურის მუშაკებს შორის წლებით ჩამოყალიბებული ურთიერთკავშირების მოშლის უფლებას?! ვინ გაბედავს მთელი სისტემის წინააღმდეგ წასვლას და თავისი კარიერის დარტყმის ქვეშ დაყენებას?! ასეთი რამ რიგით თანამშრომელსაც კი არ აწყობს! ამიტომაცაა, რომ ხშირად შესაბამისი სტრუქტურების წარმომადგენლებით დაკომპლექტებული კომისიების ურჩი ან ზედმეტად გულჩვილი წევრების წინააღმდეგ ერთობლივად და ძალიან წარმატებითაც ილაშქრებენ ზონების ადმინისტრაციისა და პროკურატურის მთლიანი შემადგენლობები. ასე რომ, კომისიის ასეთი წევრის მიერ პატიმრის დაცვასა და გამართლებას მსჯავრდებულთათვის, ტრადიციულად, გაცილებით უფრო მძიმე შედეგები მოსდევს.

## ძნელია დარჩე ადამიანად!

გვინდა გაგაცნოთ 19 მსჯავრდებულის საპროტესტო წერილი: “ყველაფერი ეტაპიდან იწყება. ახლად ჩამოსულებს პირდაპირ “შიზო“-ში გვათავსებენ, თუმცა არსებობს კარანტინის შენობა. ყველა ნივთს გვართმევენ და იწყებენ ჩვენს დაშინებას... მეორე დღეს უკვე ნახევრად გატეხილ მსჯავრდებულებთან კოლონიის და რეჟიმის უფროსები მოდიან და გვაგზავნიან ბინძურ სამუშაოზე, რომელსაც, ჩვეულებრივ, აქტივისტები (პატიმრები, რომლებიც ღიად თანამშრომლობენ ადმინისტრაციასთან) ასრულებენ. ვინც უარს ამბობს, ისევ “შიზო“-ში , შემდეგ კი საჯარიმო იზოლატორში ამწესებენ 6 თვით. “შიზო“-ში კედლები ნესტიანია, წყალი ჩამოდის, ყველა - ჯანმრთელი თუ ავადმყოფი, ერთი ჯამიდან ჭამს, კოვზებს არ გვაძლევენ. არ ყოფილა შემთხვევა, როდესაც მედპერსონალს აუკრძალავს ვინმეს აქ მოთავსება ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო. აბანო კვირაში ერთხელაა, 5 კაცზე ერთ პირსახოცს გვაძლევენ, ორ სამართებელს, დროს კი მხოლოდ 15 წუთს. მოდი და იფიქრე - რომელი მოასწრო - იბანაო თუ გაიპარსო, რა უფრო საჭიროა. სასეირნოდ ყველა ერთად გავყავართ - პატარა ეზო, რკინის სახურავით გადახურული, იჭედება. თვეობით ვერ ვხედავთ ცას... ამას წინათ, საკნებში რომ შევედით, დავინახეთ, რომ ჩხრეკა ჩაუტარებიათ. დავეკითხეთ კონტროლიორს (ზედამხედველს) - ვინ ჩაატარა ჩხრეკა - გვითხრა, თქვენნაირმა მსჯავრდებულებმა - აქტივისტებმაო. უშვებს რა ამას, ადმინისტრაციამ მშვენივრად იცის, რომ პირველსავე მოსახერხებელ სიტუაციაში მსჯავრდებულები დასჯიან ამ აქტივისტებს. ადმინისტრაციისთვის კი ეს მშვენიერი საშუალებაა ჩვენ ახალი მუხლი მოგვიყენოს... ვფიქრობთ, დროა საზოგადოებამ თვალი გაახილოს და შეიგნოს - ამდენი დამცირება, შეურაცხყოფა, ღირსების შელახვა, ცემა - თვითონ ამ საზოგადოებაზეც უარყოფით გავლენას ახდენს. ყოველივე იმის შემდეგ, რასაც ჩვენ აქ ვუძლებთ, ძნელია დარჩე ადამიანად!“ (1990 წელი).

რაოდენ სავალალოც არ უნდა იყოს, დღეს ეს ტირანული პენიტენციარული სისტემა არ შეცვლილა და თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ “კოლონია კრიმინალური გამოცდილების სრულყოფის სკოლაა“ (შსს სამმართველოს ყოფილი ინსპექტორი). ამ სისტემაში მოხვედრილი მსჯავრდებული სისტემის კუთვნილება ხდება პირველსავე წუთებიდან - არავითარი მნიშვნელობა არ ექცევა მის პიროვნებას, შესაძლებლობას, სურვილებს, ქმედითუნარიანობას, პროფესიას, ოჯახს. ხშირად ოჯახიც პატიმრის ხვედრს იზიარებს - ოჯახის წევრებსაც ისე ექცევიან, როგორც დამნაშავეებსა და საზოგადოების უმდაბლესი ფენის წარმომადგენლებს...

* * *

დაბოლოს, დასკვნის სახით: შესაძლოა, პატიმარი დამნაშავეც არის, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ის, პირველ რიგში, ადამიანია, რომელიც განიცდის, გრძნობს და აზროვნებს. იმ სადამსჯელო სისტემაში, რომელიც ჩვენს ქვეყანაში თავისი მნიშვნელობის თვალსაზრისით ერთ-ერთ ბოლო ადგილზეა, სამართლიანობა და ჰუმანურობა ათჯერ უფრო მეტი უნდა იყოს, რათა ადამიანებს თავის თავში რწმენა, ერთმანეთისადმი ნდობა არ დაეკარგოთ და გარეთ გამოსვლის შემდგომ შეძლონ იცხოვრონ ისე, როგორც ყველა დანარჩენმა. დღეს კი, პენიტენციარულ სისტემაში გამეფებული განუკითხაობის წყალობით, ჩვენ, ფაქტობრივად, ვართმევთ ამ ადამიანებს უფლებას იყვნენ საზოგადოების სრულფასოვანი წევრები, იყვნენ ადამიანები!

> **რა შეიძლება ვუთხრათ პატიმართა ოჯახის წევრებსა და ახლობლებს? ერთადერთი - არც ერთი წუთით არ დაივიწყოთ გაჭირვებაში ჩავარდნილი თქვენი ახლობელი, იყავით მზად იმისთვის, რომ მისი პატიმრობის მთელი ვადის განმავლობაში თქვენ დროს გაატარებთ აქეთ-იქით სირბილსა და ბრძოლაში. პატიმრის ოჯახის წევრობა ძალზე ძნელია. ეს ნიშნავს წლობით რიგებში დგომას, შეურაცხყოფის ატანას, მუდმივი აკრძალვების მოსმენას, ქრთამის მიცემასა და გამუდმებულ ფიქრს ფულის შოვნაზე. ეს ნიშნავს ისწავლოთ კონსპირაციის წესები, შეეგუოთ იმას, რომ აღგიქვამენ ხელისუფლების პირად მტრად, განიმსჭვალოთ კაცობრიობის მიმართ ზიზღით. აი, რას უნდა გაუძლოს პატიმრის ოჯახის წევრმა. თქვენი გაჭირვების, გარჯის სანაცვლოდ, პატიმარი მუდმივად მიიღებს ამანათებს, წერილებს, ნახვის ნებართვას. ამ ყურადღების გარეშე, იმის შეგრძნების გარეშე, რომ მასზე ზრუნავენ, ახსოვთ, ზონაში გაძლება ძალიან ძნელია, ხშირ შემთხვევაში კი, შეუძლებელი. რაც უფრო მჭიდროა მისი კავშირი სახლთან, ოჯახთან, მით უფრო ნაკლებად გაუჭირდება თქვენს პატიმარს, მით უფრო ნაკლებად შეცვლილი და გაბოროტებული დაბრუნდება სახლში. მაგრამ უნდა შეეგუოთ იმ აზრს, რომ ის აუცილებლად შეცვლილი დაგიბრუნდებათ და ამისთვის მზად უნდა იყოთ.**
>
> *ვ. აბრამკინი, "როგორ გადარჩე საბჭოთა ციხეში"*

**ნინო ჩეჩელაშვილი**

**წერილში მოხმობილია შემდეგ ავტორთა ციტატები:**

ვ.აბრამკინი, ი. ჩიჟოვი , “როგორ გადარჩე საბჭოთა ციხეში“
ა.სოლჟენიცინი, “გულაგის არქიპელაგი“
“ციხეები და ბანაკები“, ავტორთა კოლექტივი
“წერილები ზონიდან - 87-92“

# TAVISUPALI SAKARTVELO (FREE GEORGIA) N19 (1995) in brief

## The Law was Put in Effect with Violation of the Law

On September 1 the Parliament adopted the law on Elections, which was published only on September 7.

This fact would not be noteworthy had there not been the statement of Article 15 (Item 3) of Chapter 2 of the very Law, according to which the political parties wishing to participate in elections should present their statements to the Electoral Commission not later than 50 days before the elections, or in this case dead line for such statements was September 15. The Law which is considered to be in effect from the day of its publication for some unknown reasons was published in the "Sakartvelos Respublica" newspaper on September 7, nearly one week later after its adoption, only 9 days being left to the dead line.

Thus the official bodies have robbed the political parties of one week which seemingly will make the procedure of gathering necessary amount of signatures of their supporters rather difficult. In accordance with Item 2 of the same article, the list of electoral districts should be published not later than 7 days after fixing the day of elections (the day of elections is considered fixed immediately after the adoption of the Law on Elections). This statement was also not fulfilled and the parties taking part in the elections are again faced with difficulties since they are short of time necessary to work out their electoral tactic for which the list of electoral districts is absolutely necessary.

Article 27 of Chapter 4 of the Law provides the citizens, residents of electoral districts and areas to send their representatives to the district and area commissions. For this it is enough to present 10 signatures of the residents to the district commission and 50 - for the area commission. The dead line for presenting the statement is again September 15. Thus the voters were also robbed of one week to realize their right envisaged by the Law.

It is noteworthy that this latter statement was taken from the Law on Elections of 1990 which was adopted by the Communist Supreme Council under the pressure of the national forces. However, during the elections of October 28, 1990, the voters could completely realize this right thanks to the efforts of the national movement (all of us was the witness of this) and people themselves became the guarantee of the objectivity of elections. Under the present circumstances, however, it is evident, that this (and not only this) positive statement per se will remain on the paper only.

If the authorities are so afraid of the voters that they dare not timely publish the Law on Elections and from the very first steps of its action violate it, it seems probable that artificial obstacles and other tricks will be widely used in the whole pre-elective period.

## National Movement or Motion to the Power?

Vakhtang Kekelia, Member of the Board of Georgian Helsinki Union, Refugee from Abkhazia, Power Engineer, 45 years old, has four children, his wife perished under tragic circumstances.

Correspondent: Preelction company has actually already begun. What is your attitude towards the elections?

V.K.: I believe, that when the elections are held by the Parliament headed by the people who had overthrown the authorities elected by the people thus ignoring their will, participation in these elections without any conditions to put it mildly is immorality.

It naturally invites the question: Parliament which came to power thanks to the falsified elections when no electoral quota existed, now is going to hold elections on the basis of fixed quota 50%+1. Now is it a guarantee that falsification will not take place? If people come to the elections, will this serve as a guarantee that the will of the people will be objectively fixed by the Electoral Commission? For those who are in power now failure in elections means personal death and of course they will spare no efforts to win the elections. National forces have no mechanisms of controlling the elections. Under such situation to appeal to the whole nation to participate in the elections and assure people that the desirable candidates will become the members of the Parliament, is nothing but illusion. Though the forces opposing the authorities will receive some definite number of places in the Parliament with the help of the authorities themselves, to ensure representation of complete specter of political forces in the future Parliament. But this will be again achieved at the expense of falsification of the Parliamentary elections and in such case will these forces have any moral right to call the nation to the justice and lawfulness?! It also remains to be answered whether these forces will be able to block the decisions made by the Parliament.

If these forces believe that the elections will proceed without falsification of people's will, then special boycott urns should be placed at the polling places so that people can express their will completely. If the majority of population votes in favor of boycotting of elections and the authorities officially fix this then it will be possible to began the dialogue about compromises.

## The Main Thing is the Will of People...

Zurab Tsulaja, former political prisoner.

Correspondent: What is your attitude towards the elections?

Z. Ts.: The advocates of the elections often refer to the experience of 1990 elections when the national movement won the elections. To my mind, participation in the elections today will not bring any positive results because of the following reasons: in 1990 the national movement had its leader, people followed him, and the processes were developing in favorable direction. In those times rallies and various actions were not at senseless or purposeless as they are trying to present them today. These actions impelled the Communist Parliament of Gumbaridze to make significant decisions: occupation and annexation of Georgia in 1921 was recognized; a good for those times Law on Elections was adopted, Central Electoral Commission was formed, and the elections were appointed by this Commission and not by the Supreme Council; the first multi-party elections were held on the whole territory of the country, and it really was universal, democratic plebiscite.

Today, due to some objective and subjective reasons, national forces are scattered, no common strategy and tactic exist. Under such circumstances it will be equally difficult to announce boycott and attain at least some insignificant victory. Besides, all levers to falsify the results of elections and influence the deputies of oppositions in the future Parliament are in the hands of Shevardnadze. As for the practical aspect of the problem, to say nothing of the moral aspects of participation in the elections, we have failed to make any effect on Shevardnadze's Parliament; none of the parties representing national forces made any attempts to do so, with the exception of rather weak wish manifested by the organizations united in the national Council. Those who are ready to participate in the elections use the following arguments in favor of their decision: this will allow to have their representatives in the Parliament to prepare the conditions for the long-term struggle, to block the anti-national decisions, to co-ordinate the activities of intraparliametary and extraparliamentary opposition etc. All these motives are rather serious and should be considered. But I believe, that the most important is not to allow a new splitting of the national movement. We should not forget that the exiled Supreme Council juridically exists as a lawful body expressing the will of the people and a guarantee of the state independence of Georgia, its Presidium is functioning. Present day authorities and their so-called opposition spare no efforts to present "Zviadists" as a crowd of fanatics and crazy women, and as a destructive force acting against the Law. So they will do all they can to increase the gap between the advocates and opponents of the elections. To achieve this is rather easy: the advocates of the elections call the opponents madmen and blind-minded, while the latter call the first traitors. Under such circumstances it is the responsibility of the leaders of both wings of the national movement to co-ordinate the strategy and tactic of boycotting or participation in the elections.

## Assassination in the Center of the City

On September 10 at about 19.00 in Tbilisi at the corner of Takaishvili and Paliashvili street occurred one more terrifying murder. The person who came to the fixed place of meeting shot down 17 year Tornike Baramidze from the automatic gun. At the sound of shooting 17 years old Omar Gagua tried to help his friend and was fired by the person accompanying the murderer. The woman who was the seller in the nearby stall began to cry. The murderers forced her into their car and escaped from the place of crime. Baramidze died immediately after shooting, while Gagua was hospitalized with serious wounds in abdominal area. The doctors are not sure that they will be able to save his life.

As we have learned, the personalities of both murderers are known to the friends and relatives of the victims, unknown remains only the time which will be necessary for the adequate services to find out their names.

One more terrible event happened, it happened right in the center of the capital, in the daytime, in the presence of witnesses, on the background of operative measures being conducted by force structures as a result of coup against the Mafia with police day and night engaged in inspection of cars nearly in all streets of the city and helicopters flying over the city to observe it from air which is accompanied with confiscation of illegal weapons...

## Who Will Be Blamed for Explosion?

The supporters of the lawful authorities detained on August 30 are still kept in the KGB Isolator

This question at first sight does not have any sense since official persons and mass media actually initially directly blamed for terrorist action "Mkhedrioni". In Tbilisi and other towns of Georgia: Gori, Kaspi, Senaki, Zugdidi and others continues the mass arrests of the members of this organization. The Bodies of Law and Order in their interviews an comments consider it their duty to stress that in the planned treason were involved the forces existing in the state structures, though in most cases they do not specify these forces. Thus, the Shevardandze's estimation who stated on the very next day after explosion that this action was not committed by "Zviadists" proved to be the landmark defining the direction of the search.

It is also noteworthy, that the persons arrested late in the evening of August 29 were released on the next day, and in one of police stations the arrested were released with the words: "Now you may go. You are lucky that the decision was changed".

And irrespective of this fact, the people detained in the morning of August 30 are still kept in the KGB Isolator. They were charged with no accusations during the first week since detention. The police officers encouraged the members of their families that very soon everything would be all right and the prisoners would be released. Discharge of the boss of the Security Service Igor Giorgadze gave birth to the illusions that these illegal actions against the political opponents would be ascribed to him and the prisoners would be released.

Now everything became very clear: the prisoners were charged with accusations envisaged by Articles 65, 67, 73 or in other words high treason, banditism and terrorism. At the same time it is still unknown what specific actions are meant and is the explosion of August 29 mentioned among them.

The investigation proceeds under the conditions of extreme secrecy and even finding out the complete list of persons arrested on the next day after explosion was practically impossible. Only two persons are known for sure: Zurab Vardosanidze (member of Georgian Helsinki Union, former political prisoner) and Shota Ratiani. Of those two the first is kept in the Isolator of municipal department of Security Service in Beri Tedore Street, while the other - in the Isolator of the same Service in Ortachala. The personality of some others is also known; They are: David Mchedlishvili, Chubinidze, Lipparteliani, Zaza Dvali. We actually do not have any information about the others. We do not know who they are, what political organization they belong to. We are not aware whether among them are the members of the state guard, just citizens, or representatives of the state structures.

It is also noteworthy that in relation to this case oppositional press manifested unusual carefulness and refrained from publication of even the simplest information about the prisoners, though previously they never refused from public registration of the facts of human rights violation in this or that form. All this is testifying to the symptoms of a certain trend which seems to be very alarming. It looks like that in the highest echelons of power it is not yet decided who should be blamed for committing the terrorist action.

Neither the sward drawn against "Mkhedrioni" nor the statement of Shevardnadze that "Zviadists" were not mixed in this action can be considered as calming. The similar statements appeared in the press after the terrorist action of June 13, 1992 committed in Chikovani Street, and a number of political parties in State Council even stated that in this explosion was most of all interested Ioseliani himself to abolish the decision about planned transfer of "Mkhedrioni" to the barracks from June 15.

How will the vents develop this time: according to the old or new scenario?!

## Russian Red Banner Man-of-Wars are Griping in the Waters of Georgia

Radio "Freedom", Russian Section, September 7-8; Program "Perepravа"

**The commentator of the Program Tengiz Gudava:** Going back to the elections in Georgia we would like to note that one political force unequivocally isolated itself from them. The supporters of ex-President Zviad Gamsakhurdia, or as they often call them faithful followers of the idea of their late leader, were going to boycott the elections. But it happened so that after the attempt upon the life of Shevardnadze they found themselves facing the danger of repression, and now they are impelled to think about defending their rights rather than any political actions.

Las week after the attempt upon the life of Shevardnadze, Georgia was swept over with the wave of most broad-scale arrests. They involved "Zviadists" and predominantly military formations of "Mkhedrioni" as well as Security Service members. The arrests were made in the capital of Georgia Tbilisi and provinces of West and East Georgia. Arrested are the leaders and members including the drivers of those bodies which are not favored by the existing authorities. The numerous searches resulted in confiscation of great amount of weapons including grenade discharger cups, devices necessary for night time attacks, explosive devises including distant control panels. From TV transmission tower were removed and dismounted illegally installed retranslators using which according to Shevardnadze it was possible to call the detachments from the regions. Thus, we are having tens of arrested people, mountains of weapons, oceans of suspicions and not a single fact which could be directly connected with the major event: attempt upon the life of Eduard Shevardnadze. The arrested are charged with banditism, illegal keeping of weapon and refusal from passing them to the adequate bodies, in short with everything except for the attempt upon the life of Shevardnadze. Strange as it may seem, we are witnessing squaring the scores for the past deeds. The new and major cause, or the charge which caused all this flurry has not been brought against anyone yet.

მთავარი რედაქტორი თამარ ებრალიძე
EDITOR IN CHIEF TAMAR EBRALIDZE

მოგვწერეთ მისამართზე: 380008, თბილისი 8, საბონენტო ყუთი №227
Address for correspondence: Box #227, 380008, Tbilisi 8, Georgia